# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 137 ხამშაბათი, 23 ივნისი 1909 წ. № 137



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა. დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. უსასყიდლოდ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭВА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.



ღრმად შეწუხებული დედ-მამა ვასილ სოფრომის ძე და ელისაბედ იაგორის ასული, ბიძები ექიმი ერმილე სოფრომის ძე და მღვდელი ლუკა სოფრომის ძე, ძმა ბეჟან ვასილის ძე და დები ლეო და თამარ ვასილის ასულნი ხუნდაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ კვირას, 21 ივნისს დილით გარდაიცვალა ექიმი

### გიორგი ვასილის ძე ხუნდაძე.

დაკრძალვა ხუთშაბათს, 25 ივნისს, და პანაშვიდები ყოველ დღე დილა-საღამოთი. ცხედრის გამოსვენება დილის 11 საათზე წმ. კვირიკეს ეკლესიაში. (2—308—1)

გაიანე სტეფანეს ასული სომხიევისა, ლიზა იოსების ასული მურადოვისა და გრიშა იოსების ძე სომხიევი გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ ოთხშაბათს, 24 მაისს, საღამოს 4 საათზე დანიშნულია წლის თავი უდროოდ გარდაცვალებულის, პირველის—შვილის-შვილის, მეორეს—ქვირფასს შვილის და მესამის—დისწულის

### ივანე (ვანიჩკა) ალექსანდრეს ძის მურადოვის

სულის მოსახსენებლად. წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ცხინვალში, ს საფლაოზე.

კნ. მარიამ იოთამის ასული აბხაზისა, სოფიო იოთამის ასული და ნიკოლოზ იოთამის ძე ქარციეაძენი, სამსონ, მიხეილ და მელიტონ ანტონის ძენი ქარციეაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას; პირველი სამი—საყვარელ დედის, ხოლო დანარჩენნი—დაუვიწყარ ძალუას

### მარგარიტა გიორგის ასული ქარციეაძისას.

პანაშვიდი სამშაბათს, საღამოს 9 ნახევარ საათზე. პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულს თავად აბხაზის ბინიდან (რტიშჩევის ქ., № 6), წაასვენებენ ვაგზალზე ნატანებში წასასვენებლად. დაკრძალვა 24 ივნისს საგვარეულო სასაფლაოზე, გოგორეთის წმ. გიორგის ეკლესიაზე. (2—307—1)



**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორდანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. ნ. 94)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა, (უ)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^{1}/_{2}$—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე $10^{1}/_{2}$—$11^{1}/_{2}$ ს.

**ექ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ასპისოვი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ხუდაბაშევი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ახვლედიანი**—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—54)

ახლად გახსნილი ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—91)

**ექიმი** ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსხეს ქუჩა, N 11. (75—108)



**„ტფილისის სობრანიე"**

მამასახლისთა საბჭო აუწყებს ბ-ნთ წევრთ, რომ პარასკევს, 3 ივლისს, საღამოს 9 საათისთვის, საზაფხულო სადგომში დანიშნულია **საზოგადო კრება**. კენჭი უნდა უყარონ იმათ, ვინც კანდიდატად არის წარმოდგენილი. (2—306—1)

**ექიმი** კბილისა ი. შ. ჟანტურია იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—8 საათ., კვირა-უქმე დღეს დილით 9—1 საათამდე. ავჭალის ქუჩა, № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლო.) (24—310—1)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—176)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—6.—75)

გამოვიდა პირველი, მეორე და მესამე ნომერი სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის

## „მოსავალი"-სა

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წელიწადში ჟურნალი ღირს—3 მ., მდგომარე წლის პირველ ივნისიდან—2 მ., ცალკე ნომერი ხელზე გასასყიდად—10 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ბაღში, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

რედაქციის ადრესი წერილებისთვის და დეპეშებისათვის: Тифлисъ, „Мосавали", Барятинская, 5. (7—6.—6)

## ყვირილა

ქართველთა შორის წერა-კითხვის ადგილობრივი განყოფილებაში აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს მწევრად ჩაწერა და სამი მანეთის შემოტანა, უნდა მიმართოს წიგნთ-საცავ სამკითხველოში. (3—302—3)

## იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები**, თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. სააგარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყით და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოლოვისა, რუსეთის 1-ლი ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს**. (50—6.—7)

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა** აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ მან უკვე დაიწყო მოქმედება და სთხოვს ქართველ ხალხში განათლების გავრცელების თანამგრძნობელთ ჩაეწერნენ განყოფილების წევრებად ან გაუწიონ მას ნივთიერი დახმარება და ამით მისცენ საშუალება პირნათლად შეასრულოს თავისი დანიშნულება.

საწევრო ფული და შემოწირულება მიიღება ქუთაისში: ქართულ გიმნაზიაში—იოსებ ოცხელთან, ქალაქის გამგეობაში—იაკობ ფანცხავასთან, შავი ქვის მრეწველთა საბჭოში—გიორგი ზდანოვიჩთან და განყოფილების ხაზინადართან—ბართლომე მოსეშვილთან. (10—6.—7)


## მთავრობის განცხადება

**სპარსეთის შესახებ.**

(პეტ. დეპეშათა სააგენტო)

რუსეთის მთავრობამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სახელმწიფოებს:

„თუმცა შაჰის მთავრობამ, რუსეთისა და ინგლისის რჩევით, მიიღო ზომები კონსტიტუციის აღსადგენად და საჭირო რეფორმების განსახორციელებლად სპარსეთში, მაგრამ რევოლიუციონური მოძრაობა სპარსეთის ცენტრში მაინც არ შეჩერებულა. რუსეთისა და ინგლისის მთავრობები, შეეცადნენ აეცილებინათ თეირანზე გალაშქრება ბახტიარებისა, რომელთაც მეთაურობს სერდარი ასადი, და კაზვინისა და რეშტის შეერთებული რევოლიუციონერებისა და კავკასიიდან მოსულებისა, რომელთაც ერთად ხელმძღვანელობს გილანის გუბერნატორი სეპეხდარი. მაგრამ ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა და მოწინააღმდეგეთა ჯარი თანდათან უახლოვდება თეირანს, სადაც არიან ელემენტები, რომელნიც რევოლიუციონერებს მიუდგებიან, და სადაც ჯერ ეხლავე დიდი მღელვარებაა. რუსეთის მთავრობამ, განიხილა-რა საქმის ასეთი ვითარება, გამოარკვია, რომ რუსის პოლიტიკა სპარსეთში წინანდელ პრინციპებზე უნდა იყოს დამყარებული, ესე იგი, რუსეთი არ უნდა ჩაერიოს სპარსეთის შინაურ საქმეებში და შაჰისა და იმის ხალხის ერთი ერთ შორის ბრძოლაში, რა შედეგიც უნდა მოჰყვეს ამ ბრძოლას. ამასთან ერთად მთავრობას არ შეეძლო მხედველობაში არ მიეღო ის, რომ შეიძლება ბახტიარებისა და რევოლიუციონერების თეირანში შესვლის შემდეგ განსაცდელში ჩავარდნენ რუსისა და სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომნი, მისსიები, დაწესებულებანი და აგრეთვე ენზელ-თეირანის გზა, მით უმეტეს, რომ მიღებულ ცნობებით, შაჰს ერთად-ერთ გაწვრთნილ ჯარს შეადგენს სპარსეთის ყაზახთა ბრიგადა, ისიც იმდენად დასუსტებული დღეს, რომ საეჭვოა შესძლოს მან წესიერების დაცვა თეირანში. ეს გარემოება სავალდებულოთა ჰხდის რუსის მთავრობას მიიღოს შესაფერი ზომები, რომ საჭიროების დროს დასახელებულ ქვეშევრდომებს და დაწესებულებებს დახმარება გაუწიოს; აგრეთვე უზრუნველ ჰყოს წესიერი მიმოსვლა თეირან-ენზელის გზაზე. ამ აზრით გადასწყდა—გაეგზავნოს ეხლავე ბაქოდან ენზელში რაზმი, რომელშიაც შევა ყაზახთა ნახევარი ბატალიონი და ბატარეია. რაზმი კაზვინს არ უნდა გასცდეს და უზრუნველ ჰყოს მიმოსვლა კაზვინსა და კასპიის ზღვის შორის. რაზმის უფროსს მიეცემა განსაზღვრული ინსტრუქციები იმ მხრივ, რომ ამ რაზმს აზრად ექნება მხოლოდ დახმარება გაუწიოს რუსის და უცხოელების მისსიებს, დაწესებულებებს და ქვეშევრდომებს. ამასთან იგი არ უნდა ჩაერიოს დღეს სპარსეთში არსებულ ბრძოლაში, და საზოგადოდ, სპარსეთის შინაურ საქმეებში. რუსის რაზმი სპარსეთში დარჩება იმ დრომდე, სანამ რუსეთის და უცხოელების წარმომადგენლების და ქვეშევრდომების სიცოცხლე და დაწესებულებათა სიმთელე უზრუნველ ყოფილი არ იქნება.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 ივნისი

**სპარსეთი**

**თეირანი.** სერდარ ასადის მეთაურობით ბახტიარები კუმიდან წავიდნენ. თეირანიდან მათ წინააღმდეგ ბახტიარების რაზმი გაჰგზავნეს. ბახტიართა ეს რაზმი შაჰის სამსახურში იყო. ეს უკანასკნელნი კუმიდან გამოსულ ბახტიარებს შეუერთდნენ. სალტანეტაბედან შაჰმა გამოიწვია ინგლისისა და რუსეთის წარმომადგენელნი, რომელთანაც მოლაპარაკებას გამართავს ეხლანდელ მდგომარეობაზე.

**ბერლინი.** იმ ამბის შესახებ, ვითომ გერმანიას რუსეთისთვის ნება მიეცეს, სპარსეთში, როგორც გინდა ისე იმოქმედეო, -გაზეთ „ზიუდ.-ერიკ-კორესპონდენციის" კორესპონდენტი სწერს: არც შტანდარტზე და არც სხვაგან გერმანიას ამისთანა რამ არ უთქვამს რუსეთისთვის. ყველასათვის ცნობილია, თუ რა ინტერესები აქვს გერმანიას სპარსეთში. ისიც ვიცით, რომ გერმანია ინგლისის თანხმობით თავის დღეში არ შეჰხებია რუსეთის პოლიტიკას სპარსეთშიო.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: დილით ყაზახებსა და რევოლიუციონერებს შახაბადში, თეირანის მახლობლად, შეტაკება მოუვიდათ. რევოლიუციონერებს მეთაურობდა გილიანის გუბერნატორი სეპეხდარი. რევოლიუციონერებმა ყაზახებს რამდენიმე კაცი მოუკლეს. დაწვრილებით არაფერი ვიცით.

**თეირანი.** რუსეთისა და ინგლისის ელჩები ცდილობენ, სპარსეთს სისხლის ღვრა ააცილონ. ღამე არდებილში მიდიან ინგლისის საელჩოს დრაგომანი ჩერჩილი და რუსეთის საელჩოს ატაშე რომანოვსკი. ეს უკანასკნელნი არდებილში სერდარ ასადს ინახულებენ. დანშამანში წავიდნენ მაიორი სტოკსი და დრაგომანი ბარანოვსკი. ესენი სეპეხდარს ინახულებენ. საელჩოების წარმომადგენელნი გადასცემენ მათ, რომ მათი მოქმედება უცხოელების ჩარევას გამოიწვევსო.

**ოსმალეთი**

**სალონიკი** ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა პროკლამაცია გამოსცა. პროკლამაციაში კომიტეტი მაკედონიის ბერძნებს ურჩევს, ნუ აჰყვებით აგიტაციას და ეხლანდელ წესწყობილების წინააღმდეგ ნუ წახვალთო, წინააღმდეგ შემთხვევაში კომიტეტი იმუქრება, სასტიკ ზომებს მივიღებთ იმ პირების წინააღმდეგ, რომელნიც აგიტატორების რჩევას დაუჯერებენო.

**ვენა.** „კორესპონ. ბიუროს" სალონიკიდან ატყობინებენ: არილეპის კეპრიულის და იშტიბის ცხენოსანმა ჯარმა ბრძანება მიიღო, მონასტირში მოიყარეთ თავი და შეუერთდით სელფიჯიდან და გრტონიდან გამოსულ ჯარსაო. ელასონში მალე საალყე წესებს გამოაცხადებენ. მიზეზი ის არის, რომ მაკედონიის კომიტეტსა და ბერძნებს შორის დამოკიდებულება გამწვავდა.

**საზღვარ-გარეთ.**

**ლონდონი.** 19 ივნისს ლორდ-მერმა სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს დეპუტატებს მენშენ-ხოუსში საუზმე გაუმართა. საუზმეზე მილიუკოვმა სთქვა: ის უთანხმოება, რომელიც რუსეთის იმპერატორის განზრახულმა ჩამოსვლამ გამოიწვია, უკვე გათავებულად უნდა ჩაითვალოს. დღე მე გავიგე, რომ ლონდონის საქალაქო კორპორაციებს გადაუწყვეტიათ რუსეთის იმპერატორს ოქროს ყუთით ადრესი მიართვან. რა თქმა უნდა, ჩემგან არავინ მოელის, რომ რუსეთის ეხლანდელი კონსტიტუციონური დაწესებულებანი ვაქო; პირ იქით მე უკმაყოფილო ვარ ამ დაწესებულებებისა და ამიტომ ჩვენ გვინდა, გაფართოვდეს სახელმწიფო სათათბიროს უფლებები, შევცვალოთ ეხლანდელი საარჩევნო კანონი, დემოკრატიზაციის პრინციპის მიხედვით და სხვა, მაგრამ სანამ რუსეთში სახელმწიფო სათათბირო, რომელიც ბიუჯეტს კანტროლს უწევს, ოპოზიცია მის უდიდებულესობის ოპოზიცია იქნება. საერთა შორისო დამოკიდებულებამ ორჯელ დიდი განსაცდელი მიაყენა 1907 წლის შეთანხმებას, მაგრამ მაინც გამარჯვება ამ შეთანხმებას დარჩა. ჩვენმა შეკავშირებამ მოსპო ბალკანეთის კრიზისი. ჩვენი მეგობრობა შეძლებას მოგვცემს სპარსეთში მძიმე მოვალეობა არ ვიკისროთო". (ტაში). დასასრულ, მილიუკოვმა ინგლისის წარმომადგენელნი რუსეთში მიიწვია. გრაფმა ბობრინსკიმ პატივისცემისთვის მადლობა გადაუხადა. გუჩკოვმა ინგლისის წარმომადგენელნი რუსეთში მიიწვია და სთქვა: რუსეთში მარტო იმისთვის კი ნუ წამოხვალთ, რომ ამას ზრდილობა მოითხოვს, არამედ იმიტომ, რომ შეისწავლოთ ის ახალი რუსეთი, რომელიც ხელმწიფე-იმპერატორის სურვილით საკონსტიტუციო სამეფოთა რიცხვში ჩაეწერაო.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ კამათის დროს ჟორესმა განაცხადა: მე მწამს, რომ ორი სახელმწიფოს მოთავეების შეხვედრას შეუძლიან მშვიდობიანობის დაცვა. 1876 წელს გერმანიის სოციალისტებმა იწინასწარმეტყველეს, რომ დამცირებული საფრანგეთი ... ამიტომ საფრანგეთს შეუძლიან თავი იმართლოს, მაგრამ არის საზღვარი და არ შეიძლება ამ საზღვარს გადავიდეთ. ინგლისმა უკვე პროტესტი განაცხადა, არა გვსურს, რომ რუსეთის მეფემ ინგლისი ინახულოსო, ამიტომ ყველაფრის განმანადგურებელ თვითმპყრობელობის გემი იძულებული იქნება კუნძულ კოუსის გარშემო იტრიალოსო. პალატის თავმჯდომარემ ბრისსონმა პროტესტი განაცხადა: მე არ შემიძლიან უპროტესტოდ დავტოვო ასეთი სიტყვებიო. აქ ინგლისი მოიყვანეს მაგალითად. მეც იმავე სიტყვებით გავცემ პასუხს მემარცხენეებს, როგორითაც ინგლისის სტატს-სეკრეტართა თანაშემწემ უპასუხა მემარცხენეებს: რუსეთის მეფეს მივიღებთ, როგორც მოკავშირეს, საფრანგეთის მეგობარს და მეფეს, რომელმაც მშვიდობიანობის დასაცველად ბევრი გააკეთაო (ტაში ყველა სკამზე, გარდა მემარცხენეებისა. მემარცხენეები უსტვენენ). ჟორესმა სთქვა, რუსებმა, რომელნიც მსხვერპლად ეწირებიან... (გამოშვებულია) იცოდნენ, რომ იმათ მსხვერპლს აფასებენ.

**ლონდონი.** 19 ივნისს ლონდონის უნივერსიტეტმა სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს წევრების პატივსაცემლად ნადიმი გამართა. ნადიმს 800 კაცამდე დაესწრო, უმთავრესად მეცნიერების წარმომადგენელნი. რუსი დეპუტატები პარიზში მიიწვიეს. აქ მათ ნადიმს გაუმართავენ. ნადიმს დაესწრებიან გარეშე საქმეთა მინისტრი პიშონი და ორი პალატის თავმჯდომარე.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა მიიღო კანონ პროექტი, რომლითაც თამბაქოზე ახალი გადასახადი წესდება. კანონი ძალაში პირველ ოქტომბერში შევა.

**ლონდონი.** ნიუპორტსა და უელსში ნავთსადგურების შენების დროს დაიღუპა 40 მუშა.

**ბუდაპეშტი.** რადგან ლუკაჩმა ვერ მოახერხა სამინისტროს შედგე-

ნა, ამიტომ საფიქრებელია, რომ ვეკერლეს სამინისტრო რამდენიმე ხნით კიდევ დარჩება. ვეკერლე ვენაში მიდის. ამბობენ, მას ვენაში იმპერატორი მიიღებსო.

**ნიუპორტი.** ნავთსადგურში მუშაობის დროს წყალში ჩავარდა 50 კაცი, გადაარჩინეს 26 კაცი.

**ტოკიო.** იმ დეპუტატს, რომელთაც შაქრის ტრესტებისგან ქრთამის აღება ჰბრალდებოდათ, სატუსაღო გადაუწყვიტეს.

**ბერლინი.** გერმანიის გლეხთა კავშირმა გერმანიის გლეხებს მოწოდებით მიმართა. მოწოდებაში კავშირი ჰკიცხავს სოფლის მეურნეთა კავშირს და დიდ მემამულეთა რეაქციონურ მიმართულებას. მოწოდებაში სწერია, რომ სოფლის მეურნეთა კავშირი გლეხების ინტერესების წინააღმდეგიაო. მოწოდებაზე ხელი, სხვათა შორის, ბევრ მესაკუთრე გლეხებს უწერია. კონსერვატიულმა გაზეთებმა არ დაბეჭდეს ეს მოწოდება.

**ბერლინი.** მიტტელიდან დეპეშით იტყობინებიან: ჰაეროსტატი „ცეპელინი პირველი“ საღამოს 11 საათზე მეცისკენ გაფრინდა.

**ლონდონი.** სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს დეპუტატებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტი. უნივერსიტეტში დეპუტატებს საუზმე გაუმართეს. ვიცე-კანცლერმა დალია მეფე ედუარდის და რუსის მეფის სადღეგრძელოები. ერთმა პროფესორმა სტუმრების სადღეგრძელო დალია. გრაფმა ბობრინსკიმ დალია ოქსფორდის უნივერსიტეტის სადღეგრძელო. პროფესორმა ვინოგრადოვმა დალია რუსეთის უნივერსიტეტისა. პასუხი გასცა მილიუკოვმა. საღამოთი დეპუტატები ლონდონში დაბრუნდნენ.

**მეტცი.** დილის 8 საათზე მიწაზე დაეშვა ჰაეროსტატი „ცეპელინ პირველი“.

**ბერლინი.** პროფესორი ხირგესელი, „ბერლინერ ტაგებლატ“-ში და „ლოკალ-ანცეიგერ“-ში სწერს, რომ შეუძლებელია ცეპელინის ჰაეროსტატით ჩრდილოეთ პოლიუსში წასვლაო. გრაფ ცეპელინსაო, სწერს —ხირგესელი, სურს მხოლოდ გამოიწვიოს სამეცნიერო მიზნით ჯერ კიდევ გამოურკვეველ პოლიარო ადგილებში წასვლაო. ცეპელინის ჰაეროსტატი ამისთვის არ გამოდგება და უმთავრესად ძათი დანიშნულება ის იქნება, რომ სურათების გადაღებას გაადვილებენო.

**რ უ ს ე თ ი**

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 83, გარდაიცვალა 16 კაცი, საავამდყოფოში 661 კაცია.

**ოდესა.** ქალაქის თვითმმართველობამ დაადგინა, ვიტტეს ქუჩას პეტრე დიდის ქუჩა დაარქვას.

**სოლოკამსკი.** ეს ერთი დღეა, რაც სოფელი იწვის. ამ სოფელში ბევრი ქარხანაა. ქარხნები თითქმის ნახევარი გადაიწვა.

**ტამბოვი.** სახე მწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლად თავად-აზნაურობამ აირჩია კოზლოვის სამაზრო წინამძღოლი სნეჟკოვი და სახელმწიფო საბჭოს წევრად ნამყოფი ანდრეევსკი, ორივე მემარჯვენეები.

**პეტერბურგი.** 22 ივნისს დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 74, გარდაიცვალა 37 კაცი. საავადმყოფოში 662 კაცია.

## ახალი ამბავი

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **კავკასიის რეფორმები.** „კასპის“ სიტყვით, მინისტრთა საბჭო კავკასიის რეფორმების შესახებ კანონ-პროექტებს ზაფხულის უკანასკნელ დღეებში განიხილავს. კანონპროექტების განხილვაში მონაწილეობას მიიღებს კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

✦ **ქათალიკოსის წასვლა.** სომეხთა ქათალიკოსი საქართველოდან გადის დღეს, 23 ივნისს, დილის 10 საათზე. ქათალიკოსი ყარსის რკინის გზით მიემგზავრება თავის სარეზიდენციო ეჩმიაძინის მონასტერში. ქათალიკოსი შეივლის სანაინში, სადაც სომეხთა მონასტერია; გუმბრიდან წავა ანის დასათვალიერებლად, სადაც ამ ჟამად პროფესორი მარრი მუშაობს.

✦ **რეალური სასწავლებელი ოზურგეთში.** როგორც ვწერდით, ოზურგეთის ქალაქის წარმომადგენლებმა შუამდგომლობა აღძრეს სათანადო მთავრობის წინაშე, რომ ნება მიეცით ოზურგეთელებსა და მაზრის მცხოვრებთ ოზურგეთში დაარსონ რეალური სასწავლებელი. ამ შუამდგომლობის შესახებ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თავმჯდომარეობით თათბირი ჰქონდა ამ დღეებში მზრუნველის საბჭოს. საბჭოს გამონაგარიშებით, ოზურგეთში თავისუფლად შეიძლება დაარსებულ და შენახულ იქმნეს რეალური გიმნაზია, თუ სასწავლებლის დამაარსებელნი უზრუნველ-ჰყოფენ ყოველ წლიურად 8,000 მანეთს. დანარჩენი ფული რეალურ გიმნაზიის შესანახად შემოვა სასწავლო გ დასახადიდან.

✦ **წვრილი კრედიტი.** როგორც ვწერდით, ზოგიერთს დაბასა და მოზრდილ სოფელში დაარსდა წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი. სომხებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ამას. ეს მეორე წელიწადია ტფილისში სომხებმა მოახერხეს სომეხთა სოფლის მასწავლებელთათვის საზაფხულო კურსების გამართვა. კურსებზე მასწავლებლებს აცნობენ, სხვათა შორის, წვრილ საკრედიტო საქმეების წარმოებას, ანგარიშების შედგენას, კოოპერატიულ ორგანიზაციათა მოწყობას და სხვას. ესეთი კურსები საჭიროა საქართველოს სოფლის მასწავლებლებისათვისაც, მაგრამ თავს არავინ იტეხავს.

✦ **არჩევნები.** შაბათს, 20 ივნისს, ტფ. ხელოსანთა მამასახლისებსა და რწმუნებულებს საზოგადო კრება ჰქონდათ ხელოსანთა თავის ასარჩევად. არჩევანმა საღამომდე გასტანა. არჩევანებში მონაწილეობა მიიღო 97 რწმუნებულმა და უსტაბაშმა ხელოსანთა თავის თანამდებობაზე კანდიდატებად წამოაყენეს რამდენიმე კაცი. ყუთი დაიდგეს კარაპეტ სეროპიანცმა და მიხეილ მელენჩუკმა. აირჩიეს კარაპეტ სეროპიანცი, ხოლო იმის კანდიდატად — მიხეილ მელენჩუკი.

✦ **პროცესია.** ტფ. პატრიოტულმა საზოგადოებამ კვირას დედოფლის სურათი გადაიტანა ანდრეევის ქუჩაზე საძმო დარბაზში. საზოგადოების წევრნი, რამდენიმე ასი კაცი და ქალი, [illegible] ტფ. გუბერნატორის სახ[illegible] ჭავაძის ქუჩაზე. უმთავრე[illegible] მიიზიდინი. წვრილი მოს[illegible] და სხვანი. ყველანი სა[illegible] ლოდ იყვნენ გამოწყობი[illegible] რიოტულ ნიშნებით. მანიფესტანტები ბარიათინსკის ქუჩაზე გენ. შატილოვის სადგომთან რომ ჩავიდენ, „ურას“ ძახილით მიეგებნენ გენერალს, რომელიც გამოვიდა თავის სადგომიდან. „ბოჟე ცარია ხრანი“ მღერით სამხედრო მუსიკით პროცესია გაემართა მიხეილის პროსპექტისაკენ და ქსენიევის ქუჩით ავიდა საძმო დარბაზში ანდრეევის ქუჩაზე. აქ სიტყვებიც წარმოითქვა.

✦ **სადილი.** ტფ. სომეხთა ინტელიგენციამ 21 ივნისს სადილი გაუმართა „ფანტაზიის“ ბაღში სტამბოლის სომეხთა ნაციონალურ კომიტეტის თავმჯდომარეს მინას ჩერაზს, რომელიც სტამბოლიდან წამოჰყვა ქათალიკოსს. მინას ჩერაზი ქათალიკოს მიაცილებს ეჩმიაძინამდე და შემდეგ ოსმალეთში დაბრუნდება.

✦ **მოკლულის ვინაობა.** ამას წინად დამოჟნის ქუჩაზე პოლიციამ და პატრულმა მოჰკლა უცნობი კაცი, რომელმაც დაპატიმრების შემდეგ გაქცევა დააპირა. მოკლული აღმოჩნდა სოფ. ჭაგანის (ქუთ. გუბერ.) მცხოვრები მანჯგალაძე. სახელი არ იციან.

✦ **საკრედიტო საზოგადოება საგურამოში.** მთავრობამ ნება დართო დაარსდეს სოფელ საგურამოში წვრილი საკრედიტო საზოგადოება, რომელსაც ძირითად თანხად მთავრობისაგან მიეცემა 1000 მან., ხოლო საწარმოებელ თანხისათვის მოკლე ვადიან სესხად—3000 მან. საკრედიტო საზოგადოების დაარსების ნებართვა მიეცა აგრეთვე ტფილისელ ხელოსნებს.

✦ **პანაშვიდი.** კვირას, 21 ივნისს, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფს არჩილ ჯაფარიძის გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე, გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდსა და წირვას დაესწრნენ განსვენებულის ნათესავები, მისი პატივისმცემელნი, ნაცნობები და ამხანაგები.

✦ **სწავლა-დამთავრებულნი.** ტფ. წმ. ნინოს სასწავლებლის მე-8 კლასი დაასრულეს, სხვათა შორის, შემდეგ ქართველებმა: ეკატერინე ვაჩნაძემ, ეკატერინე ჯაფარიძემ, ანნა მაყაშვილმა (სამივემ ვერცხლის მედლით), ელენე ანდრონიკაშვილმა, ქეთევან ვაჩნაძემ, მართა ვაჩნაძემ, ოლგა ნადირაძემ, ანნა თაქთაქიშვილმა, ი. ჭავჭავაძემ, ელის. შაშიაშვილმა. წელსავე გიმნაზიის მე-8 კლასი დაასრულა და მასწავლებლობის მოწმობა მიიღო 30 ქალმა. ქართველთა გვარები: ევგენია გაბაშვილი, ნინო აბულაძე, კირა ბალუაშვილი, ნინო ბაქრაძე, ნინო გამყრელიძე, ბარბალე ყიფიანი, მარიამ მაჩაბელი, ანნა ჭავჭავაძე და ანასტასია ჩერქეზიშვილი.

✦ **თელავი.** 19 ივნისს გათავდა თელავ-სიღნაღის სამღვდელოების დეპუტატთა კრება, ისეთი რამეები მოხდა, რომ საქმე სამედ. სასამართლომდე მივიდა. 18 ივნისში ჩამოვიდა ტფ. დრამატიულ დასის არტისტი—ქალ. ნ. ჩერქეზიშვილისა, რომელიც თელავში გამართავს წარმოდგენებს. ჩერქეზიშვილი დაჰყოფს თელავში ერთ კვირას. პირველად წარმოადგენენ „ინჟინერი სიძე“-ს, აზიანისა.

✦ **მკვლელობა.** ქალადიდიდან გვწერენ; ამ დღეებში ქალადიდის სადგურიდან ოცი ვერსის მანძილზე, ლიანდაგის პირად, რკინის გზის მსახურს კვარაცხელიას მოუკლავს მუშა მაჭარია. ამ უკანასკნელს კვარცხელიას ცოლისათვის სიტყვით შეურაცხყოფა მიუყენებია. ცოლს ქმრისთვის გადაუცია ეს ამბავი. ქმარი გაბრაზებულა და თოფით მოუკლავს მაჭარია, რომელიც მთელი ორი დღე უპატრონოდ ეგდო თურმე ლიანდაგის პირად.

✦ **საისტორიო საზოგადოების კრება და ს. კაკაბაძის მოხსენება.** დღეს, სამშაბათს, 23 ივნისს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდება ჩვეულებრივი კრება საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, რომელზედაც ბ-ნი ს. კაკაბაძე წაიკითხავს მოხსენებას ამ თემაზე: „კრიტიკა მე-14—15 საუკუნის იმერეთის მეფეთა და აწ მიღებულ (ვახუშტისებურ) გენეალოგიისა“.

✦ **საზოგადო მოღვაწის პატივისცემა.** შაბათს, 20 ივნისს, ტფილისის ქართველმა საზოგადოებამ სადილი გაუმართა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ნ. ზ. ცხვედაძეს. დაუღალავ და უანგარო მუშაკის პატივსაცემლად თავი მოეყარა ასამდე კაცს. იყვნენ თავად-აზნაურობის ბანკების, პრესსის და სხვა ყველა ქართულ [illegible] წარმომადგენელნი; იყვნენ გარეშე [illegible] სკამ გრძნობით სავსე სიტყვით მიმართა ბ-ნ ცხვედაძეს და თან ქართველ საზოგადოებას უსურვა წარმატება. წარმოითქვა ბევრი სიტყვა, რომლებშიაც ორატორებმა აღნიშნეს მხცოვან მოღვაწის დაუღალავი მუშაობა ყველა ქართულ საზოგადო საქმეებში.

✦ **ქართველების დაპატიმრება.** როგორც დეპეშათა სააგენტო გვამოგვცემს, ციმბირში, ბლაგოვეშჩენსკში 19 ივნისს თავის სახლის წინ რევოლვერებით მოუკლავთ მაქებარ (სისკნი) პოლიციის უფროსის თანაშემწე აღმასრულებელი ოლშანოვსკი. ამბობენ, ვით ოთხი ქართველი დაუპატიმრებიათ.

✦ **მიწის-ძვრა.** შაბათს, 20 ივნისს, საღამოს 10 საათსა და 20 წუთზე ტფილისში საკმაოდ ძლიერი მიწის ძვრა მოხდა. მიწა ზედი-ზედ ორჯელ შეიძრა.

✦ **წ.-კ. საზოგადოება.** წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა მოხსენება ქიმიკოსის ალ. ჯავახიშვილისა საპედაგოგიო მუზეუმისათვის კოლექციების შეწირვის შესახებ. გამგეობამ დაადგინა, მიიღოს შემოწირულება და მადლობა გამოუცხადოს ჯავახიშვილს. გამგეობამ ამავე სხდომაზე განიხილა ბ-ნ ჯავახიშვილისავე მოხსენება სამეცნიერო წიგნების გამოცემის შესახებ. მომხსენებლის აზრით სასურველია გამოიცეს წიგნები მეცნიერების ყველა დარგიდან. გამგეობამ დაადგინა, რომ იგი ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს სამეცნიერო წიგნების გამოცემის ინიციატორს. სოფ. აცანისა და მუხრანის (იმერეთი) მცხოვრებთა წარმომადგენლებმა მთავარ გამგეობას სთხოვეს, დაარსოს ამ სოფლებში იაფ ფასიანი სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. გამგეობამ დაადგინა. შეატყობინოს შუამდგომლობის აღმძვრელთ, რომ მათ უნდა მიმართონ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას.

✦ **უპასპორტოები.** გაჩხრეკის დროს პოლიციის მე-6 ნაწილში

# საშინელი რა გვაქვს?

(შემდეგი *)

ხალხის გადაგვარება, როგორც ადამიანთა, დამოკიდებულია ბევრ პირობისაგან. რასათა შერევა, ან სისხლის განუახლებლობა, გეოგრაფიული მდგომარეობა და სოციალური პირობები უმთავრესნი არიან. პირველისა და მეორის გავლენას საზოგადოების ყველა კლასნი განიცდიან, თუმცა, რასაკვირველია, ზოგიერთი კლასსის ადამიანს უფრო ადვილად შეუძლია თავიდან აიცილოს ეს მავნე პირობანი, ვიდრე მეორისას. აგრეთვე სოციალური პირობანი გადაგვარებისა შეიძლება ერთი კლასსისათვის უფრო მძიმე იყოს, ვიდრე მეორისათვის, და შეიძლება ბევრ შემთხვევაში სწორედ სულ უკუღმა ტრიალებდეს საქმე, ვიდრე ეს მართლ-მორწმუნე ესდეკს ეგონება.

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით სხვა და სხვა რასათა არევისაგან გამოწვეულ შედეგებს; აგრეთვე არ გვაინტერესებს გეოგრაფიული პირობები და პირობანი ჰავისა და საზოგადოდ ბუნებრივ გარემოცულ-წრისა. ვიტყვით მხოლოდ, რომ რასაკვირკვირველია კარგი პირობები ძლიერ უწყობენ ხელს ერისა და ადამიანთა სოციალურ პროგრესს, ცუდი პირობები კი ხელს უშლიან. ამ ფაქტორთა უარ-ყოფა, როგორც ამას ბევრი „ეკონომიური მატერიალისტი“ ჩადის,—შეუძლებელია და ანტი-მეცნიერული. ამასთანავე კარგად მოწყობილ საზოგადოებას ყოველთვის შეუძლია ებრძოლოს გარეშე პირობათა მავნე გავლენას, და საზოგადოების საერთო მოქმედების ერთი დიდი შედეგიც ეს განთავისუფლებაა გარეშე მავნე ძალთა ბატონობისგან და სარგებლიანად გამოყენება ბუნების ძალთა.

მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება იმას, თუ რა გავლენა აქვს ადამიანების სისაღეზე, ან გადაგვარებაზე წმინდა სოციალურ პირობებს და როგორი იყო თვითეული კლასსის მდგომარეობა ამ მხრით და როგორია დღეს. ვნახოთ,—მარტო გაბატონებული კლასსები გადაგვარდებიან ხოლმე, თუ ამ სენით, საუბედუროდ, სხვებიც არიან ავად,—ან მაინცა და მაინც ყოველთვის სახარბიელო და კარგი მოვლენაა ერის ცხოვრებაში „გაბატონებულ კლასსთა“ გადაგვარება, თუ არა.

ბევრ მარქსისტსა ჰგონია, რომ როდესაც ერთი კლასსი გადაგვარდება, უსათუოდ ეს მისი მაჩვენებელია, რომ სხვა კლასსმა გაიმარჯვა და იგი დააყენებს ერს წარმატების გზაზე. ეს მას აუცილებელი კანონი ჰგონია საზოგადოების განვითარებისა. ჩვენი მეპრესსეც, რასაკვირველია, ამ აზრისაა. იგი დარწმუნებულია, რომ უსათუოდ უნდა უშველოს დაჩაგრულმა კლასსმა მთელს ერს, ჩამოაგდებს რა ტახტიდან გადაგვარებულ გაბატონებულ კლასს. იმმანენტური კანონი კლასსთა ერთი-მეორის მიერ შეცვლისა მართლაც მარქსიზმის ძარღვია, მაგრამ ჯერ-ერთი ჩვენ მეპრესსეს ესეც ვულგარულად ესმის,—მას ჰგონია რომ ერთის გადაგვარება მეორის აღორძინებას მოასწავებს, რაიც სიცრუეა და მარქსიზმთან არავითარი კავშირის მქონე; მეორე—თვით ეს კანონი არ არის სწორი და საყოველთაო კანონის ხასიათი, დამოუკიდებელი დროისაგან და სივრცისაგან, მას არა აქვს.

მართლაც, მარქსს თავის დღეში არ უთქვამს, რომ ბურჟუაზია უსათუოდ უნდა გადაგვარდეს და მისი გადაგვარება უსათუოდ მოასწავებს პროლეტარიატის აღორძინებასაო, ან პროლეტარიატის აღორძინება მოასწავებს ბურჟუაზიის გადაგვარებასაო. მარქსი იმ აზრისა იყო, რომ წარმოება კაპიტალისტური ისე გაფართოვდა, ისეთი რთული გახდა, რომ ყოვლად შეუძლებელია მისი გაძღოლა რომელიმე ერთი კლასსის მიერ,—წარმოების გაძღოლა აუცილებლად მთელმა საზოგადოებამ უნდა იდვას თავს ამხანაგურ წესზეო. ეს იყო მისი დედა-აზრი; იგი ლაპარაკობდა გადაგვარებაზე, როგორც წარმოების მთელი მექანიზმის ერთ კლასსის მიერ პატრონობის კვლავ შეუძლებლობაზე,—ნამდვილ გადაგვარებას კი იგი როგორც ბურჟუაზიას, ისე სხვა კლასსებს ამჩნევდა, რამდენადაც მათი სპეციალური საზოგადოებრივი პირობები ხელს უწყობდა ამ გადაგვარებას. გადაგვარება, მისი აზრით, აუცილებელი იყო კაპიტალიზმისათვის, როგორც განსაზღვრულ წარმოების წესისათვის. მომეტებული ფუფუნება იწვევდა ბურჟუაზიის გადაგვარებას, მომეტებული მუშაობა და სიღატაკე პროლეტარიატისას. სწორედ ამ საშინელების შეგნებაზე უნდა აეშენებინა პროლეტარიატს, მისი აზრით, თავისი კლასსიური შეგნება, მოეხდინა რევოლიუცია, ჩამოერთმია ბურჟუაზიისათვის უკვე განსაზოგადოებრივებული წარმოება და უფლებრივადაც მთელი საზოგადოებისათვის გადაეცა იგი, რადგან ბურჟუაზიას, ერთ კლასს, მისი გაძღოლა აღარ შეეძლებოდა.

თორემ ცოტასა ვხედავთ ისტორიაში იმის მაგალითებს, რომ გაბატონებულნი არა გვარდებიან და, პირ-იქით, მონები განიცდიან გადაგვარებასა? ან ცოტაა ისეთი მაგალითი, რომ ურთი-ერთის გავლენით გადაგვარებულან ბატონნიცა და მონანიც და მთელი საზოგადოება დაღუპულა? ან მთელი რევოლიუციები სწორედ იმიტომ არ მოუხდენიათ „მონებს“ მძლავრ, არა-გადაგვარებულ კლასსთა წინააღმდეგ, რომ გაბატონებულთაგან განთავისუფლებულიყვნენ, თავიანთი თავი ეხსნათ გადაგვარებისგან?

საზოგადოების უპირველეს ხანებიდანჩვენ ვამჩნევთ სწორედ საუკეთესოთა ტანჯვასა და გადაგვარებას, ან მშრომელთა გადაგვარებას, რომელთაც ხან უხსნიათ ხოლმე თავი აუცილებელ გადაგვარებისაგან, ხან კი ვერა, და დაღუპულან, დაუღუპავსთ მთელი საზოგადოებაც.

ანთროპოფაგიის დროს რაც საუკეთესო ბავშვები იყო, საუკეთესო იმედი მომავალი წარმატებისა, სწორედ მათ სჭამდნენ ხოლმე ველურები ან სწირავდნენ ღმერთებს. ომის დროსაც საუკეთესოები, ყველაზედ უფრო ყოჩაღები და ვაჟკაცები იღუპებოდნენ ბრძოლაში. მაშინ კი ომი პირველი სახსარი იყო არსებობისათვის ბრძოლისა.

ბავშვების ხოცვა, გაყიდვა, ქალის დაჩაგვრა და მისი ფიზიკურადაც და ზნეობრივადაც გადაგვარება, საშინელი მონობა, რომელიც კაცობრიობას განუცდია, მონობა ძველსა და ახალ ფორმებში,—ყოველივე ის საშინელი ფაქტორები ყოფილან მთელ საზოგადოებათა გადაგვარების და სიკვდილის.

რომის საზოგადოება პირდაპირ დაღუპა მონობისაგან ისე, რომ მონებმა ვერ მოასწრეს განთავისუფლება და ახალ საზოგადოების შექმნა. ერთის მხრით გადაგვარდა პარაზიტიზმისაგანგათახსირებული არისტოკრატია და პლუტოკრატია, მეორეს მხრით გადაგვარდნენ მონები და „პროლეტარიატი“, რომელიც გაიძახოდა „Panem et circenses!“ გაბატონებულთა გადაგვარება სრულიად არ ნიშნავდა პროლეტარების და მონების აღორძინებას, არც ეს უკანასკნელნი აღორძინებულან, რომ გაბატონებულთა გადაგვარების მოასწავებელნი ყოფილიყვნენ. მონების ცდამ განეთავისუფლებინათ თავი ბატონთაგან საშინელი ზიანი მისცა მონათა კლასს, რომელსაც სპარტაკის გმირობამაც ვერა უშველა რა. არისტოკრატიას და პლუტოკრატიას მეტი ძალა აღმოაჩნდათ, რომ საუკუნოდ დაემარცხებინათ მონათა აჯანყება, რომელსაც სოფლის მშრომელი ხალხიც დიდს დახმარებას უწევდა. ახლად აღმოცენებულმა კოლონატმაც ვეღარ უშველა რომის საზოგადოებას, რომ „რკინის კანონის ძალით“ ახალი საზოგადოება შეექმნა რომის ერის ცხოვრებაში, და რომი გახდა ბარბაროსობის მსხვერპლი.

საბერძნეთიც ასე გადაგვარდა. არისტოტელს მონის სულიც არა სწამდა. ილოტების პერიოდული ჟლეტა იყო ხოლმე სპარტის რესპუბლიკაში. გადაგვარდა როგორც ბატონი, ისე ყმა; ამ უკანასკნელმა სრულიადაც ვერ შესძლო ახალ საზოგადოების დაარსება და მთელი საბერძნეთი რომის სასტიკ კლანჭებში ჩავარდა. სხვის ხელში ჩავარდნა კიდევ არაფერია,—მთელი საზოგადოება სწორედ გადაგვარდა, მოკვდა და დაჰკარგა თვისი შემოქმედებითი ძალა, ორიგინალობა, დაიკარგნენ მთელი ერები თავიანთის საზოგადოებრივ სახით—ენით, კულტურითა და სიმშვენიერით. ეხლა მათ ჩვენ მკვდარ ერებს ვეძახით. ვერ იხსნა გაბატონებულთა გადაგვარებამ დამონებულნი და ამ უკანასკნელთაც არ „დაუმხვიათ“ გაბატონებული კლასები და არ „გაუღონიერებიათ“ ერი.

ფეოდალიზმის დროს, ერთის მხრით თავისუფალ ქალაქთა განვითარების წყალობითა და მეორე მხრით გლეხთა მუდმივ აჯანყებით იხსნეს თავი ევროპის ერებმა გადაგვარებისაგან. სწორედ ამ მუდმივმა ბრძოლამ ძალით სავსე კლასთა შორის იხსნა ერები სიკვდილისაგან. თორემ თავად-აზნაურობის გადაგვარებას არ მოუსწავებია არასოდეს ბატონ-ყმობის მოსპობა, არც ბურჟუაზიის განვითარებას გამოუწვევია სავსებით ფეოდალების გადაგვარება. არც გადაგვარებულა თავად-აზნაურობა ბევრ ქვეყანაში: ბევრგან თავად-აზნაურები ჩაებნენ ახალ წარმოების ფერხულში, მაგალითად ინგლისში, ბევრგან ჩამოერთვათ პრივილეგიები, ხოლო საკუთრება კი შერჩათ, ბევრგან კი, რასაკვირველია, გადაგვარდნენ, რადგან დიდ რევოლიუციათაგან ჩამოერთვათ ის ფუნქციები, რომელსაც ისინი წინად ასრულებდნენ და ვერ მოახერხეს ახალ ცხოვრების ალღოს აღება, მაგალითად საფრანგეთში. იტალიის და ფლამანდიის ბრწყინვალე წოდება პირველი იყო, მრეწველობა და ვაჭრობა რომ დაიწყეს საშუალო საუკუნოებში. სრულიად ახალ კაპიტალიზმს კი ვეღარ შეეგუა იტალიის ბრწ. წოდება, თუმცა არც იქ არის სრულიად გადაგვარებული ეს ბრწყინვალე წოდება. მაგრამ საერთო მოვლენა სწორედ ის იყო, რომ სწორედ გადაგვარებისგან ხსნისათვის იბ-

*) იხ. „დროება“, N 135.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21 ივნისს, დააპატიმრეს 5 უპასპორტო კაცი. 6 კაცი დააპატიმრეს პოლიციის მე-8 საწილში და 8 კაცი მე-9 ნაწილში.

✦ სარდიონ ყაძაია გვთხოვს დავბეჭდოთ: „გაზეთ „დროების“ მე-132 ნომერში მოთავსებულია ანკარიში ეკნატე ნინოშვილის ძეგლის ასაგებად მოგროვილ 19 მ. 30 კაპ. ეს ფული მოვაგროვე მე (და არა სპირიდონ ფალავამ) ტრამვაის მოძრაობის მუშებს შორის და არა რკინის გზის მუშებში, როგორც ეს შეცდომით გამოცხადებულია გაზეთში“.

✦ 20 ივნისს მე 5 ნაწილში პოლიციამ დააპატიმრა ვასილი ომანიძე რაგიმ-შახ-ვალატ-ოღლი და კარაპეტ არუთინოვი, რომელნიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ისევ ტფილისში დაბრუნებულან.

✦ წყნეთის ქუჩაზე პოლიციელებმა დააპატიმრეს შამახიელი ქალი სოფიო ბაგიროვისა, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა სოფ. წყნეთის ერთ შეძლებულ მემამულეს ოჯახიდან მოპარული ძვირფასი ნივთები.

✦ 9 ივნისს კრასილნი ქუჩაზე დააპატიმრეს ტფ. მცხოვრები მელიქ-გაიკაზოვი, რომელიც გადასახლებულ იქმნა საგენერალ-გუბერნატოროდან, მაგრამ თავის ნებით დაბრუნებულა.

✦ 19 ივნისს ფეთხაინის ქუჩაზე დააპატიმრეს მორდუხ მოშენაშვილი. მოშენაშვილის სახლში იპოვნეს სხვა და სხვა საქონელი 400 მანეთისა. ეს საქონელი ბათუმში მოუპარავს მორდუხ მოშენაშვილის შვილს ისააკს.

● 19 ივნისს თფილისის მცხოვრებმა მარიამ ხიმონუკოვისამ პოლიციას აცნობა, რომ ჩემ შინ არ ყოფნის დროს, სახლიდან ვიღაცეებმა გაიტანეს სხვა და სხვა ნივთები 460 მანეთისაო. ეჭვით დააპატიმრეს თელავის მაზრის მცხოვრები იოსებ ფურცელაძე და ტფ. მცხოვრები ხოსრო უზრიევი და ივანე იარალოვი.

● 19 ივნისს, დილის 10 საათზე, პოლიციამ დააპატიმრა ელისაბედ მელქამე და გრიგორი მავდია. ესენი ადმინისტრატიულად ყოფილან გადასახლებულნი და თავიანთ ნებით დაბრუნებულან.

## შავი ქვის ახალი საზოგადოება

(წერილი ვენიდან)

კარგა ხანია, რაც ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის დაცემის შესახებ გაისმის ლაპარაკი. დაცემის მიზეზთა შორის უმთავრესად ასახელებენ იმ პირობებს, რომელიც დაბადებიდან თან ახლავს ჭიათურის მრეწველობას. ასეთია, მაგალითად, სიძვირე ჭიათურიდან ფოთში გადასატან ტარიფისა. მას მისძლევს თვით ექსპორტის საქმე, როგორც ჭიათურიდან, ისე ფოთიდან. შავი ქვის მესაკუთრეთა და მეიდველთა შორის ათასი სხვა პირი ეხჩირება. ადგილობრივ მესაკუთრისაგან ყიდულობს ერთი, გაასქვს მეორეს, მადნის მომხმარებელს აბარებს მესამე.

სხვა მიზეზთა შორის დასახელების ღირსია კიდევ საერთაშორისო ბაზრის მდგომარეობა საზოგადოდ და კერძოდ რკინეულობის მრეწველობისა. მაგრამ ამ გვარ მიზეზებისაგან საქართველოს შავი ქვა ნაკლებ უნდა იყოს დამოკიდებული, ვიდრე სხვა ქვეყნისა, მაგ., ავსტრიისა, ბოლგარიისა. ამისი თავმდები ჭიათურის მადნის 48% მანგანია. ვენის უნივერსიტეტის და ვენის უმაღლესს სატეხნიკო სასწავლებლის ლაბორატორიებში გამოკვლეული ჭიათურის შავი ქვის ნიმუშები სწორედ ამ პროცენტს იძლევიან. ამასვე ამტკიცებს ქიმიურ ლაბორატორიის „Fresinius“-ის (ვისბადენში) ანალიზი, მაშინ როდესაც ავსტრიული, უნგრული, ბოლგარული და ესპანიური შავი ქვა ორთაშუა რიცხვით მარტო 24% მანგანს შეიცავენ. საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს შავქვას არა ჰყავს ბადალი და იმისთვის კონკურენცია, თუ სხვა დამაბრკოლებელი პირობები არ იქნება, უშიშარია.

ამა წლის 27 იანვარს დაარსდა ვენაში საზოგადოება Techniches Bureau Prosl, Tscheidze ç C°.“ (ტეხნიკური ბიურო პროსლ, ჩხეიძე და კომპ.), რომელიც შესდგება ოთხი პირისგან: ჰანს პროსლისა, კარლ პროსლისა, გრიგოლ ჩხეიძე დ ვასილ დ. წერეთლისაგან. ეს ბიურო წარმოადგენს ცენტრალურ დაწესებულებას ჭიათურის მადნის გასასაღებად (ევროპაში). იგი ყიდულობს ჭიათურის მრეწველთაგან შავქვას და ხელშეკრულობისამებრ აბარებს ევროპიულ ფირმებს. დღემდის ათემზე აქვს სხვა და სხვა ფირმასთან ხელშეკრულობა დადებული. პირველ გემის დასატვირთავად და ადგილობრივ ჭიათურაში ხარჯის გასაწევად ავსტრიის კერძო ბანკმა „Länderbank“-მა აზოვ-დონის ბანკის ქუთაისის განყოფილებასთან ამ ბიუროს 80.000 კრონამდის (32.000 მანეთი) კრედიტი გაუხსნა. დღემდე ამაში გამოიხატა ამ ბიუროს მოქმედება.

ჭიათურის მადნის ჩარჩ-ექსპორტიორებს საფრთხე მოელინათ ამ საზოგადოების სახით. მათ მთელით ვაჭრობისა და გამოზიდვის საქმის ხელიდან გამოსვლა. სწორედ ამიტომ მათ ამ საზოგადოების მოქმედების დაწყებისათანავე მთელი ძალღონე მოიკრიბეს. შავი ქვის ფასი საშინელ მინიმუმამდის დასწიეს. ერთ წუთს ექსპორტიორები მთლად ხელს იღებდნენ თავიანთ მოგებაზე, ოღონდ მოპირდაპირე დაეცათ.

ფასის დაცემას, მეორეს მხრივ, ხელს უწყობდნენ ავსტრიისა და სერბიის შორის იმ ხანებში ჩამოვარდნილი მფოთი, რამდენიმედ ბალკანეთის საკითხის და თვით ავსტრიის რკინეულობის მრეწველობის უკან დაწევა. მაგრამ ჩადგა ქარი, მოიწმინდა პოლიტიკური ჰორიზონტი და აღმოჩნდა, რომ ჩარჩ ექსპორტიორებს წარმოდგენაც არა ჰქონიათ ახალ საზოგადოების სიცოცხლის უნარზე.

რაც დრო გადის, მით უფრო ფართოვდება საზოგადოების მოქმედება: ფირმა სდებს ახალ ხელ-შეკრულებებს მადნის მეიდველთან, უხსნის საჭირო კრედიტს და სხვას.

ამ საზოგადოების კომპტუარის ადრესი: VII Lerchenfelder-strasse 9—11

ბ. ლ—ძე.

## მოწერილი ამბები

**დ. ონი** (რაჭა) უხსოვარ დროიდან ონში დაუარსებიათ ერთი ორ-კლასიანი სასწავლებელი. იმდენი მეთაურობა ვერავის გაუწევია ონისათვის, რომ ეს ორ კლასიანი სასწავლებელი ოთხ კლასიანად გადააკეთონ. როგორც შევიტყეთ რამდენსამე პირს მოულაპარაკებიათ ონში გიმნაზიის დაარსების შესახებ. კომიტეტიც შეუდგენიათ. სწორე გითხრათ, იმედი არა მაქს, რომ ონში გაკეთდეს რამე. ასეთი მოლაპარაკებას ხშირად გაუმართავთ ონის გულშემატკივრებს, მაგრამ საქმე არ გაკეთებულა. ყველაფერი იფუშება, როდესაც საქმე ფულზე მიდგება ხოლმე, რადგან ამ ოხერ დროში უფულოდ არაფერი კეთდება.

ონშივე არსებობს ბიბლიოთეკა-სამკითხველო. მთელ მაზრაში ეს ერთად-ერთი სამკითხველოა, მაგრამ ისიც მომაკვდავივით დაფავს სულს. ეხლა ამ სამკითხველოს გამოცოცხლება მოისურვა მომრიგებელ მოსამართლის მეუღლემ ქ-ნმა კესარია ტატიშვილისამ. მან თითქმის ძალით შეჰკრიბა სამკითხველოში ონის ახალ გაზრდობა და სამკითხველოს გაუჩინა თვიურად რამდენიმე წევრი ფულის გადამხდელი. სამკითხველოს სასარგებლოდ გამართა ონში ორჯერ წარმოდგენა. ყოველ სადამოს ახალგაზრდობას უყრის თავს სამკითხველოში და ძალად აძლევს ხელში ჟურნალ-გაზეთებს თუ წიგნებს. გამოიწერეს ჟურნალ-გაზეთები როგორც რუსული და ქართული, ისე ებრაული და სომხური. ამ რიგად, ონის სამკითხველოს, სასიკვდილოდ გამზადებულს, სიცოცხლე დაეტყო ამ ორ თვეში.

ონში ირიცხება სულ 160 კომლი ებრაელი. ებრაელები, როგორც სხვაგან, აქაც ვაჭრობას მისდევენ, მაგრამ სიღარიბე-სიღატაკედან ვერ გამოსულან. ონის ებრაელებში ძვირად შეჰხვდებით ინტელიგენტს. არ მოიპოვება ერთი კაციც, რომ საშუალო განათლება მაინც მიეღოს. აქვთ ერთი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, ასწავლიან მხოლოდ ებრაულს. დღემდე არა ჰყავთ ისეთი კაცი, რომ ჩაეგონოს მათ ერთ რიგიან სასწავლებლის დაარსება 1902 წელს ონში დანიშნეს რაბინად დავით ბააზოვი. დავით ბააზოვი ცხინვალიდან არის. მან მან მოსვლისათანავე ყურადღება მიაქცია ონის ებრაელთა უნუგეშო მდგომარეობას. შეუდგა სკოლის დაარსების საქმეს და დიდის მეცადინეობით კიდევაც დაარსა სკოლა 1904 წელს. ონის სკოლის მსგავსი ებრაელებს საქართველოში არა აქვთ. რაბინს იმედი ჰქონდა, შემწეობას აღმოუჩენდნენ სკოლის შენახვაში საქართველოში მცხოვრები ებრაელები. მაგრამ მოსტყუვდა. არცერთ დაბა-ქალაქში მცხოვრებმა ებრაელმა სკოლას შემწეობა არ აღმოუჩინეს და არც შეიდები მიაბარეს. სკოლის შენახვა მთლად დააწვა ონელ ებრაელებს, ასე რომ თითეულ კომლს უდი რვა-მანეთი მოსდის წლიწადში. რაბინმა იმედი მაინც არ დაჰკარგა და პეტერბურგში „ებრაელთა განმანათლებელ კომიტეტს“ სთხოვა დახმარება. ამას წინეთ რაბინმა ცნობა მიიღო პეტრბურგიდან. სკოლაში გარდა ებრაულისა თუ ასწავლით რუსულადაც სხვა და სხვა საგნებს, ვეცდებით დახმარება აღმოგიჩინოთო.

გასაკვირველია, ასე გულ-გრილად რომ ეკიდებიან სწავლის საქმეს საქართველოში მცხოვრებნი ებრაელები!

რაჭველი შურდული.

—

**ახალი პიესა.** როგორც დაგვიგეს, 26 ივნისს ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში მოსკოვის სამხატვრო თეატრის ახალგაზრდა მოწაფის ა. წუწუნავას მიერ დადგმული იქნება ახალი პიესა ქართულს ენაზე. ითამაშებენ გ. დ' ანუნციოს 3 მოქმედებიან პიესას: „იორიოს ასული“. ეს პიესა ტფილისს თხუთმეტი წლის წინად უნახავს დ. იავორსკაიას დასის აღსრულებაში. ქართულად კი მხოლოდ ეხლა იდგმება. პიესა საინტერესო საკითხს ეხება—საკითხს ბრბოსა და ცალკე პიროვნებათა ურთიერთობის შესახებ. საკითხი ძველია, მაგრამ დ'ანუნციოს იგი პოეტურ ნაწარმოების სიუჟეტად აქვს აღებული. საინტერესოა ეს წარმოდგენა იმითაც, რომ უმთავრეს როლებს სრულიად ახალგაზრდა სცენის მოყვარენი ასრულებენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თვით იორიოს ასულის როლს, რომელსაც მ. მდივანი ასრულებს. საინტერესოა პიესა აგრეთვე იმ მხრივ, რომ იგი მრავალ რიცხოვან მასსას ითხოვს, რაც ქართულ სცენაზე ძნელი შესასრულებელია.

დონ-ფარიანი.

## სპარსეთის ამბები

**შაჰის მემკვიდრე რუსეთის საელჩოს შეჰფარებია.**

„რუს. სლოვო“-ს ატყობინებენ პარიზიდან: აქ ხმა გავრცელდა, ვითომ შაჰის მემკვიდრე, შაჰის განსაკუთრებულის შუამდგომლობით, რუსეთის საელჩოს შეიხიზნაო. ეს ხმა ჯერ შემოწმებული არაა.

**ბრძოლის მოლოდინში.**

მთელი თეირანი მოუთმენლად მოელის რევოლიუციონურ ჯარის მოსვლას. თეირანის ბაზრები დაკეტილია; ქუჩებში ყველგან გაკრულია განცხადება, რომ მცარცველები სასტიკად იქნებიან დასჯილნი. ქუჩებში [illegible] ბი.

ქალ[illegible] სხვა ადგილებში მიდიან.

კერეჯის პოზიციაზე, კაზვინის გზაზე, ძლიერი რაზმი გაგზავნა მთავრობამ. კერეჯის გარშემო ყველა სიმაღლეზე დადგეს ზარბაზნები და ტყვიის მტყორცნელები. აქაურ ჯარს უფროსობს რუსის აფიცერი პერებინოსი.

კაზვინელი რევოლიუციონერებიც უკვე მოვიდნენ კერეჯში. ყოველ წამსაა მოსალოდნელი შეტაკება.

**არეულობა ყირმანშაჰში.**

რუსის ჯარის მოქმედებამ თავრიზში მთელი სპარსეთის ხალხი აღელვა და ზოგან, მაგალითად, მეშედსა და ყირმანშაჰში დიდი არეულობაც გამოიწვია.

„რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყება თეირანიდან: „ქალ. ყირმანშაჰში ხალხი აღელდა, მოედნებზე შეიყარა და თავრიზში წასვლა დააპირა რუსების გასადევნად. რუს კონსულმა ნიკოლსკიმ ძლივს-ძლივობით დაამშვიდა ხალხი და გალაშქრებაზე ხელი აალებინა. დასასრულ, მოლებმა შეატყობინეს ხალხს, რომ რუსის ჯარი გავიდა თავრიზიდანაო, და ხალხიც სულ დამშვიდდა“.

რუსებმა რომ ორი როტა ჯარი და ერთი ბატარეია დააბრუნეს თავრიზიდან, მთელ სპარსეთში ხმა გავრცელდა, რომ რუსის ჯარი მიდის თავრიზიდანაო, მაგრამ ბოლოს ეს ხმა ტყუილი გამოდგა და გამოყვანის მაგივრად, რუსეთმა კიდევ ახალი ჯარი გაგზავნა სპარსეთში.

**რუსულ გაზეთის აზრი სპარსეთის საქმეებზე.**

რუსული გაზ. „რეჩ.“-ი ხელახლად ამტკიცებს, რომ რუსეთი შემცდარ პოლიტიკას ადგია სპარსეთში. გაზეთი სწერს:

„ჩვენ ხელახლად უბრუნდებით ამ საგანს, რომელზედაც არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი, თუმცა-კი მაინც და მაინც დიდი იმედი არა გვაქვს, რომ მთავრობამ შეისმინოს გონივრული რჩევა. ეხლა ყველასთვის ცხადია, რომ ლიახოვის მთელი მოქმედება და გენ. სნარსკის რაზმის გაგზავნა დიდი შეცდომა

---

რძოდა ხალხი. რომ გამარჯვებით არ გათავებულიყო ეს ბრძოლა ხალხისა, ყველა კლასები გადაგვარდებოდნენ, მთელი საზოგადოებანი, როგორც ეს მოხდა რომში და საბერძნეთში.

ბევრ მარქსისტს კი ჰგონია,—უსათუოდ გაბატონებული კლასსები უნდა გადაგვარდნენ, „ხალხის“ გადაგვარება კი არ შეიძლებაო. ვინც იცის თუ გინდ იმავ ფეოდალიზმის ისტორია, კარგად მოეხსენება, რომ სწორედ ხალხი განიცდიდა იმ პირობათა უმეტეს გავლენას, რომელიც გადააგვარებს ადამიანსა. საშინელი ექსპლოატაცია, ყოვლად უმწეო მდგომარეობა ხშირად გავრცელებულ ეპიდემიების წინაშე, სამღვდელოებისაგან საშინელი ყვლეფა და წამება ინკვიზიციონური წესით, მუდმივი ომები, სადაც ათი ათასობით იჟლიტებოდნენ უმეტეს ნაწილად ხალხის შვილები,—ყოველივე ეს გადაგვარებას არ იწვევდა ხოლმე? მარტო ჯვაროსანთა ომების დროს სწორედ ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლებისათვის მიეშურებოდა პალესტინაში აუარებელი ხალხი და იღუპებოდა; და რომ ბატონ-ყმობა გაგრძელებულიყო აქამდის, რა გადაარჩენდა რომელიმე ევროპის ერსა და საზოგადოებას?

მეთვრამეტე საუკუნეშიაც და წინადაც საფრანგეთში გლეხობა იმ ზომამდე მივიდა, რომ ადამიანის სახე დაჰკარგა. 1689 წელს ლაპრუიერი სწერდა: „მინდვრებში გაბნეულ რაღაც მხეცებსა ჰხედავ, დედლებსა და მამლებსა, შავებს, ჩაყვითლებულებსა და მზისაგან დამწვრებს, მიწაზედ ჩაკუნტულებს. მუშაობენ საშინელის მუყაითობითა. რაღაც ენის მსგავს კი ლაპარაკობენ, და როდესაც წელში გაიმართებიან, მაშინ გაჩვენებენ ადამიანის სახეს; მართლაც ადამიანები არიან! ღამით თავიანთ სოროებში მიდიან და იკვებებიან შავი პურით, წყლითა და მცენარეთა ძირებით“.

1739 წელს ეპისკოპოსი შარტრისა სწერდა მეფეს: „შიმშილი და სიკვდილი ისეთია, რომ ხალხი ცხვარსავით ბალახსა სჭამს და ბუზებივით კი იხოცება!“

რამდენია ასეთი ფაქტი. მაგრამ ჩვენი მიზანი აქ არ არის ისტორია და ციტატები.

თანამედროვე საზოგადოებანი აიღეთ. რამდენია ისეთი საზოგადოება, რომ სწორედ ხალხია დაძაბუნებული და გაბატონებული კლასსები არც კი ფიქრობენ გადაგვარებას. ესპანიისა და იტალიის პროლეტრიატი და გლეხობა ლამის არის მართლაც გადაგვარდეს, მიუხედავად მათის თავ-განწირულის ბრძოლისა, და გაბატონებულნი კი გალაღებულნი არიან. თვით მარქსის „კაპიტალის“ პირველ ტომში აღწერილი საშინელი პირობანი კაპიტალიზმის შემოსვლისა ინგლისში ხალხის გადაგვარების პირობანი არ იყვნენ უფრო, ვიდრე გაბატონებულთა? ეხლაც პროლეტართა რაზმებს უფრო არ ანადგურებს გადაგვარების მიზეზები, ვიდრე გაბატონებულთა რაზმებსა?

მანჩესტერში, სადაც მუშები არიან უმეტეს ნაწილად, 1838—1844 წლ. 21,152 ბავშვი 5 წლის ქვემოდ მომკვდარა 20,726, ე. ი. 97%. გერმანიაში ამავე ხნის ბავშვი იხოცება 5,7% არისტოკრატებში, ბერლინის ღარიბთა შორის 35,5%. ბრიუსელში იხოცება 6% ბავშვი კაპიტალისტების ოჯახებში, 54% პროლეტარების ოჯახებში. ინგლისში ერთი წლის ნაკლები ბავშვი იხოცება მდიდრებში—20%, საშუალო კლასსებში—44,4%, ღარიბებში 50%. და ასე დაუსრულებლივ. ეს მარტო ერთი მხარეა ღარიბთა და მშრომელთა უბედურებისა. სხვა ათასია, მაგრამ, განვიმეორებთ, ამას აქ ვერ გამოუდგებით.

მართალია, რომის საზოგადოებისა არ იყოს, თვით გაბატონებულთ ემჩნევათ გადაგვარების ნიშნები ნამეტან ფუფუნებისა და ფუქსავატ ცხოვრებისაგან, როგორც მაგალითად საფრანგეთში, მაგრამ ინგლისის ბურჟუაზია, ამერიკასა და გერმანიისა ისეთ ძალას წარმოადგენს, რომ გადაგვარებისა მას არაფერი ეტყობა, პროლეტარიატი კი საშინელ კრიზისებს განიცდის ხოლმე პერიოდულად.

მართალია, პროლეტარიატი სცდილობს ამოძვრეს ამ საშინელ მდგომარეობიდან, იბრძვის, მაგრამ სანამ გაიმარჯვებდეს, ვინ იცის რას დღე დაადგება მის აუარებელ მასსას. ან ვინ იცის გადაგვარდება თუ არა გაბატონებული კლასსი? ან მოასწავებს თუ არა გაბატონებულთა გადაგვარება მისი გამარჯვების მოახლოვებას? იქნებ სოციალიზმამდის სულ დაინთქას ჩვენი ცივილიზაცია? ამ აზრისაც ბევრია და მათი აზრი არც ისე აბუჩად არის ასაღები, როგორც ეს ბევრსა ჰგონია.

მარტო პარიზის კომმუნის დროს რამდენი საუკეთესო მუშა დახოცეს და აგაზნიეს ქვეყანაზე, ჯერაც არ იციან. ვინ იცის, მომავალ რევოლიუციის დროს რა დღე მოელის სწორედ პროლეტარიატს? მხოლოდ ჩვენი იდეალია, ჩვენი რწმენაა, ჩვენი ცდა უნდა იყოს სოციალიზმი, თორემ აუცილებლად გადაგვარდება გაბატონებული კლასსი, გავიმარჯვებთ, სოციალიზმს დავამკვიდრებთო,— ეს, კიდევ ვიტყვი, მეორეთ მოსვლის იმედია და ამით შორს ვერ წავა ადამიანი.

დღესაც კი ალკოჰოლიზმი, მილიტარიზმი, სიღარიბე, უმუშევრობა, უმეცრება, ავადმყოფობა და სხვა ათასი სენი პირდაპირ ანადგურებს პროლეტარებისა და გლეხობის რაზმებს, ჰბადებს მათ შორის აუარებელ დეგენერანტს და ალის შემოქმედების ნიჭსა. როგორც უკიდურეს პლუტოკრატთა შორის, უკიდურესს ღარიბთა შორისაც არის მრავალი დეგენერანტი. საშუალო კლასსები კი უმეტეს ნაწილად „საშუალო ადამიანებს“ წარმოშობენ ხოლმე. ვაშე-დე-ლაპუჟ ამბობს, რომ საუკეთესო ანტროპოლოგიური ტიპები ადამიანებისა აღარ არიან სწორედ ქალაქის საშინელ და სულის შემხუთველ ცხოვრების განვითარების გამოო, და რასაკვირველია ეს „გადაგვარება“ არა მარტო გაბატონებულ კლასსის ბედია, არამედ მეტად კიდევ პროლეტარიატისა.

დიახ, თანამედროვე კაპიტალიზმი საშინელ პირობებსა ჰქმნის ყველა კლასსისათვის, გაბატონებულ კლასსებს კიმეტადაც შეუძლიანთ ებრძოლონ გადაგვარების მიზეზებს, ვიდრე დაბეჩავებულთა. მთელ სოციალისტურ მოძღვრების ძიზანიც ის არის, რომ ახალ საზოგადოების დაარსებით მოსპოს ეს ნამდვილი მიზეზები მთელ ერის, მთელ ცივილიზაციის სიკვდილისა და გადაგვარებისა. უნდა ვეცადოთ ვიხსნათ თავი გადაგვარებისაგან მთელმა ხალხმა, მაგრამ შოვახერხებთ თუ არა უსათუოდ, ვინ იცის? როგორც არა ერთხელ, დღესაც უნდა გვიხსნას ხალხის მუდმივმა მისწრაფებამ უკეთეს საზოგადოებრივ ფორმათა შექმნისადმი, მაგრამ ისეთი მაგალითებიც ყოფილა ხოლმე ისტორიაში, რომ ხალხს ვერ მიუღწევია ამ მიზნისათვის და მთელი საზოგადოებაც დაღუპულა, როგორც არა ვსთქვათ.

მაგრამ ვთქვათ ისიც, რომ მართლაც ერთი კლასსის გადაგვარება მოასწავებს უსათუოდ მეორეს აღორძინებას,—ჩვენი თავად-აზნაურობის გადაგვარება ამ მხრით მაინც რა სასიხარულო იქნება? თუ კი მისი სიმდიდრე ისევ ქართველ გლეხობის ან ბურჟუაზიის ხელში გადავა, თუ მის ადგილს დაიჭერს სხვა კლასსი და გაუძღვება ეროვნულ საქმეს, თუ, ერთის სიტყვით, არიან ჩვენში ისეთი კლასსები, რომლებიც იჩენენ დიდ შემოქმედებას და აღორძინებენ ერს,—მაშინ ჯანიც გავარდეს თავად-აზნაურობასა, მაგრამ ჩვენში ხომ არ არის ეს ბურჟუაზია, შემომქმედი ჩვენი ეროვნულის სიძლიერისა,—ჩვენში ხომ ხალხს პოლიტიკაც არა აქვს ტერრიტორიისა შეს, რჩენადაც,—და ამ შემთხვევაში და გვიხაროდეს თავად-აზნაურობის გადაგვარება, სხვისი ლაქიობა, მიწების გაფლანგვა და სხვა ელემენტისთვის გადაცემა, მათი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი დაქვეითება? სრულიადაც არა. ჩვენს ცხოვრებაში მათი გადაგვარება სწორედ დიდი დანაკლისია მთელ ქართველ ერისათვის და ნიშანი მთელი ერის დაქვეითებისა, რადგანაც სხვა სასიცოცხლო ძალები მაინც არ არის,—არც პოლიტიკური, არც ეკონომიური და არც სხვა რამ.

ამით ბ-ნ მარქსისტს არ ეგონოს, რომ ფეოდალი ვარ და დამცველი თავად-აზნაურობისა. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ როდესაც სხვა „პლიუსი“ არ გაგვიჩნია, არამედ ეს ახალი „პლიუსი“ სხვისია, შენი ძველი „პლიუსის“ დაკარგვაც დიდი „მინუსია“—და აკი „პლიუსობს“ ჩვენი თავად-აზნაურობა, რაც შეუძლია და რამდენი საზოგადო—ეროვნული შეგნებაც აქვს? იმაზედაც დიდი მადლობა ვთქვათ, რომ ყველა მათგანი საზოგადო საქმეშიაც ნამდვილი „ზუბრი“ არ არის, როგორც ამას მოითხოვს ალბად მათი ნამდვილი „კლასსიური მდგომარეობა“.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ჩვენში სხვა კლასსებსაც ეტყობათ გადაგვარება და არა მარტო თავად აზნაურობას. თავად-აზნაურობის ჩვენში მხოლოდ რამდენიმე ძიდი გვარია გადაგვარებული, უმეტესი ნაწილიკი იმდენად არის გადაგვარებული რამდენადაც საზოგადოდ ქართველობა,—ნაკლებადაც, რადგანაც მათ, რაც უნდა იყოს, უფრო შეუძლიანთ ბრძოლა გადაგვარების პირობებთან. ხალხი კი საშინელ მდგომარეობაშია, განსაკუთრებით საქართველოს ზოგიერთ ნაწილებში: ხევსურეთში, სამეგრელოსა, ქართლისა და კახეთის ზოგიერთ მხარეში,—იქ, მაგალითად, სადაც მალარიაა. კიდევ ღმერთი გვწყალობს, რომ არაყი და სიფილისი არ ანადგურებს ჩვენ სოფლებს რუსის სოფლებივით, თორემ სულ დავიღუპებოდით. მაგრამ კაი ხანი არ არის მას აქეთ, ბ-ნი ედილი იწერებოდა საინგილოდან, მთელი საინგილო ლამის არის სიფილისმა დახრასო. გაივლის დრო და ქალაქიდან და სალდათობისაგან შეტანილი ეს საშინელი სენი მოედება ჩვენს სოფლებსაც, აქა-იქ კიდევაც შევიდა გურიაში და სამეგრელოში, და თუ ძლიერის კაპიტალიზმის განვითარება მოგვესწრო, ვინ იცის იქნებ ეს სენი ჩვენშიაც ისეთ საზოგადო სენად შეიქნეს, როგორც იგი რუსეთშია. მერე სადა გვაქვს ეხლა მშვენივრად მოწყობილი საექიმო დახმარება, ან შემდეგ გვექნება? სად არის ამისი გარანტია? რუსეთი დიდი იმპერიაა, შეიძლება კონსტიტუციაც დაიმკვიდროს, მაგრამ საზოგადოების ჰიგიენის საქმე კი კაი ხნის განმავლობაში ვერ მოეწყობა ხეირიანად. მაგრამ იმათ რა უჭირთ: მათ აქვთ თავიანთი სახელმწიფო, ტერრიტორია, თვით ხალხი ას მილიონამდეა. ჩვენი საქმე კი სულ სხვაა...

მე არ მინდოდა ამ საგანზე ლაპარაკი, მაგრამ ჩამოაგდეს სიტყვა და მეც ვთქვი ცოტა რამ. მე წინად მხოლოდ „საზოგადოებრივობის“ გადაგვარებაზე ვლაპარაკობდი, ჩვენ სოციალურ ორგანოთა ატროფიაზედ, ეს კი ვერ გაიგო მეპრესსემ და გადაგვარების მეორე საგანზე დამაწყებინა ლაპარაკი. მით უკეთესი.—თუ არ ვიზრუნეთ, არც ამ მხრითა ვართ უკეთეს მდგომარეობაში. **და უმთავრესი წამალი ჩვენი ამ პირდაპირ გადაგვარების წინააღმდეგ არის ხსნა ჩვენი გადაგვარებულ ეროვნულ „საზოგადოებისა“ მისი აღდგინება.** B.

(შემდეგი იქნება)

იყო. სპარსეთის საქმეები იმნაირად დატრიალდა, რომ ამ ჟამად ეს შეცდომა ბრმებისთვისაც-კი ცხადი შეიქმნა. ამ შეცდომის თავიდან აცილება ადვილი იყო, რადგან თვალ წინ გვედგა მაგალითი საფრანგეთისა, რომელიც გაება მაროკოში. რა მოიგო იქ საფრანგეთმა? აუარებელი ფული დახარჯა, ორჯელ კინაღამ ომი არ მოუვიდა გერმანიასთან და მთელი მისი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან უფრო უარესად გამწვავდა, აი ეს მოიგო საფრანგეთმა მით, რომ თითი ჩაყო „გახეჩილ ხეში“. მერე-კი ყოველნაირი ღონისძიება მიიღო თითის ამოსაღებად, მაგრამ ეს არც ისე ადვილი ყოფილა. საფრანგეთს ის გასამართლებელი საბუთი მაინც აქვს, რომ იგი ამ საქმეში გააბა გერმანიის დიპლომატიამ, მაგრამ რისთვის წაეტენა რუსეთი სპარსეთის არეულ საქმეებში? ინგლის-რუსეთის შეთანხმება რომ არ არსებობდეს, კიდევ ვიტყოდით, რომ საჭიროა სპარსეთში ინგლისის გავლენის შესუსტებაო და თან იმედი გვექნებოდა, რომ იქნება ეს ჩარევა განსაცდლის გარდა სასარგებლოც გამოდგეს, მაგალითად, შეგვეძლო ადერბეიჯნის დაჭერა. . მაგრამ ინგლის-რუსეთის შეთანხმებამ მოსპო ამ ორსავ ქვეყნის მეტოქეობა სპარსეთში და ამასთანავე მოსპო სარგებლობის იმედიც. ინგლის-რუსეთის შეთანხმება იმითაა სწორედ დასაფასებელი, რომ რუსეთს შეეძლო შორიდან დინჯად ეცქირნა იქაურ შფოთისთვის და დაეცადა, სანამ იგი თავის თავად დასრულდებოდა. ეს მით უფრო ადვილი იყო, რომ იქაურ შფოთს ბოლო ულებოდა და ახალ წესების მომხრენი სძლევდნენ ძველის მომხრეებს. შაჰისთვის რომ დახმარება არავის გაეწია, იგი იძულებული იქნებოდა ან სახალხო წარმომადგენლობა დაეწესებინა, ან არა და თავისი ტახტი დაეთმო სხვა მმართველისთვის, რომელიც არ იქნებოდა ეხლანდელ შაჰივით დაბრმავებული და კერპი. ჩვენთვის ხომ სულ ერთი იქნებოდა, სპარსეთის ტახტზე მამედ-ალი-შაჰი იჯდებოდა, ზილი-სალთანე, თუ სხვა ვინმე.

რუსეთის პოლიტიკის უმთავრესი ცოდვა არის ორპოფობა. რუსეთი ხან მალულად ერევა სპარსეთის საქმეებში, ხან ცხადად, ხან სულ არ ერევა. რუსეთის ასეთმა ორპოფმა პოლიტიკამ ჩაქრობის მაგივრად უფრო გააძლიერა სპარსეთის არეულობა და უფრო ძლიერ შეარყია შაჰის ტახტი, რომლის გამაგრებაც უნდოდა. რუსის ჯარის შესვლამ თავრიზში შაჰს ხალხის უკანასკნელი ნდობაც დაუკარგა და ბახტიარებსა და კაზვინელ რევოლიუციონერებს გაუბედვინა თეირანზე გალაშქრება...

**რუსის ახალი კონსული.**

20 ივნისს ქალ. ასტარაში მივიდა რუსის ახალი კონსული გირსი და 30 ყაზახის თანხლებით გაემართა ქალ. არდებილში, სადაც იგი დაინიშნა კონსულად.

**შაჰის ჰარამხანა.**

17 ივნისს ღამით სულთანაბადიდან, სადაც შაჰი იმყოფება ამ ჟამად, თეირანში მოვიდა რამდენიმე ეტლი ძლიერის კანვოის თანხლებით. ამ ეტლებით შაჰის ცოლები წაიყვანეს სხვა უფრო უშიშარ ადგილსო. შაჰმა თავისი ძვირფასი ნივთებიც მათ გაატანა თურმე შესანახად.

**მთავრობის შეშინება.**

რევოლიუციონერების გალაშქრებამ თურმე თავზარი დასცა შაჰსა და მინისტრებს. გარეშე საქმეთა მინისტრს საად-ულ-დოულეს მრავალი მუქარის წერილი მოსდის; დანარჩენი მინისტრები შიშით შინიდან გარედ ვერ გამოდიან თურმე.

**რუსეთის ელჩის განცხადება.**

რუსეთის საელჩოს წარმომადგენელმა საბლინმა გამოუცხადა რუსის ქვეშევრდომებს. თუ თეირანში უწესოება დაიწყო, რუსეთს ბაირაღები გაშალეთ თქვენ სადგომებზე და თქვენ თითონ რუსეთის საელჩოში წამოდით, იქ არაფერი დაგიშავდებათო.

**რევოლიუციონერებისა და შაჰის ძალა**

ბახტიარების ხანი სარდალ-ასადი თავის ჯარით სამხრეთიდან უახლოვდება თეირანს, ხოლო სეპეხდარი კაზვინელ რევოლიუციონერებით ჩრდილოეთით. სარდალ ასადს სულ მცირედ 2,000 მეომარი ეყოლება, სეპეხდარს—1,000; ორივეს სულ მცირე 3,000 მამაცი, ბრძოლაში გაჩვეული თავგანწირული მეომარი ეყოლებათ. რამდენ ჯარს დაუხვედრებს მათ შაჰი? ერთ რუს დიპლომატს უთქვამს „რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტისთვის:

„ცხადია, რომ შაჰის სარბაზები,—ქვეითა ჯარის-კაცები, ეს დამშეულ და დაგლეჯილ ვინგინდარების ბრბო—ანგარიშში მოსატანი არაა, მით უმეტეს, რომ შაჰი მათ ჯამაგირსაც ვერ აძლევს რიგზე.

დარჩა ლიახოვის ყაზახთა ბრიგადა. შტატით ბრიგადაში 1500 კაცი ითვლება, მაგრამ აქედან უნდა გამოირიცხოს 500 კაცი, რომლებიც სდარაჯობენ ბანკებს, საელჩოებს, გუბერნატორებს და სხვა დაწესებულებებს... დანარჩენ 1000 კაციდან 400 ახლავს თვითონ შაჰა, ასე რომ ლიახოვს ხელ-ქვეით ჰყავს სულ 600 ყაზახი, რომლებმაც პასუხი უნდა გასცენ ორი მხრიდან მომდგარ თავზე ხელ აღებულ რევოლიუციონერებს“...

ამიტომ, დიპლომატის აზრით, რუსეთი იძულებული იქნება ჯარი გაგზავნოს სპარსეთში „თავის ქვეშევრდომების დასაცველად“.

## ოსმალეთი

**ბანკეტი ოსმალ-დეპუტატების პატივსაცემლად ლონდონში.**

21 ივნისს ლონდონში ინგლისის პარლამენტის მოღვაწეებმა დიდებული ბანკეტი გამართეს იქ სტუმრად მისულ ოსმალ-დეპუტატების პატივსაცემლად.

**სომხის ეპისკოპოსის დასჯა.**

სამხედრო სასამართლომ ადანაში სიკვდილამდე კატორგა გადუწყვიტა ეგვიპტეში გაქცეულს სომხის ეპისკოპოსს მუშეღს, მას აბრალებენ სომხების წაქეზებას მუსულმანთა დასახოცად.

**იერუსალიმის სომხის პატრიარქის გადაყენება.**

„გოლ. მოსკვი“-ს ატყობინებენ სტამბოლიდან, სომხის ეროვნულმა კრებამ ჰკუიდან შეშლილად იცნა იერუსალიმის სომხის პატრიარქი არუთინი, 93 წლისა, და თანამდებობიდან გადააყენა იგი: იგი ემორჩილებოდა ბინძიერ კაცებს და ორი მილიონის ვალი დაადვა ეკკლესიასო.

**ახალგაზდა ოსმალო—ფინანსთა მინისტრად დანიშნეს.**

როგორც დეპეშებიდან ვიცით, ოსმალოს ფინანსთა მინისტრი რიფაატ-ფაშა თანამდებობიდან გადადგა და მის მაგივრად დაინიშნა ქალ. სალონიკის დეპუტატი ჯავიდ-ბეი. იგი გამოჩენილი წევრია ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტისა. ჯავიდ-ბეის ფინანსთა მინისტრად დანიშვნას სთვლიან ახალგაზდა ოსმალთა პარტიის დიდ გამარჯვებად. ამ პარტიას ეხლა ოფიციალური წარმომადგენელი ეყოლება სამინისტროში. აქამდე მინისტრებად ინიშნებოდნენ ისეთი კაცები, რომლებიც ცოტად თუ ბევრად ეთანხმებოდნენ ახალგაზდა ოსმალთა პარტიის აზრებს. ჯავიდ-ბეიმ პალატის ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა, როგორადაც პირველ საკონსტიტუციო ბიუჯეტის მომხსენებელმა.

ჰფიქრობენ, რომ ჯავიდ-ბეის შემდეგ სამინისტროში შევა ახალგაზდა ოსმალთა პარტიის მეორე გამოჩენილი წევრი, პალატის თავმჯდომარის ამხანაგი თალაატ-ბეიო; იგი შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნება ფერიდ-ფაშის მაგივრადაო.

**ბერძნები დასცემიან ოსმალებს.**

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ბერძნის ჯარისკაცები დაეცნენ ორას მუსულმანს, რომლებიც ქალ. ელასონას ახლო საბერძნეთის საზღვარზე გადასულიყვნენ მინდვრებში სამუშაოს საშოვნელად, და ბევრი მათგანი მოჰკლესო.

**ბერძნის საიდუმლო კომიტეტი.**

ადრიანოპოლის ვილაეთში აღმოაჩინეს საბერძნეთის კავშირის „ადელფია“-ს კომიტეტი, და გაჩხრეკის დროს უპოვეს იარაღი და სამხედრო მასალა, დაატუსაღეს კომიტეტის რამდენიმე წევრი, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათი მიზანი იყო—აგიტაცია გაეწიათ ბოლგართა წინააღმდეგ და იარაღი მიეცათ ბერძნებისთვის, თუ მაკედონიაში რევოლიუცია მოხდებოდა.

## თეატრი და ხელოვნება

**სახალხო წარმოდგენა.** კვირას, 21 ივნისს, ქართულმა სექციამ, როგორც იქნა, წარმოადგინა ზუბალაშვილების სახლში სახალხო თეატრისათვის საგანგებოდ გადმოთარგმნილი ვილდენბრუხის ოთხ მოქმედებიანი პიესა „ქონრიანი ტოროლა“. ეს პიესა სექციის მიერ პირველად 14 ივნისს იყო წარმოსადგენად გამოცხადებული. მაგრამ თურმე თვით ქონრიან ტოროლას როლის მოთამაშეს—ქ-6 თამარ გოგოლაშვილს—ავადმყოფობა მოსდომებია და ფარდის ახდამდის შვიდი საათით ადრე თამაშზე თურმე უარი შეუთვლია. ამბობენ, ვერავითარმა ხვეწნა-მუდარამ და ლოღიკამ ავადმყოფობაზე მას ხელი ვერ აღებინაო...

მაგრამ გადავიდეთ პიესაზე. პიესა კარგი შინაარსისაა. მართალია მას ცოტა არ იყოს, ბურჟუაზიული იდეოლოგიის სუნი უდის, განსაკუთრებით იმ ადგილას, სადაც მდიდარი მექარხნე მ. ავგუსტი დღევანდელ პირობებში შრომისა და კაპიტალის სრულ და მუდმივ სოლიდარობაზე, შრომის გამცემისა და მშრომლის შეთანხმება—შეკავშირებაზე. ეგრეთ წოდებულ „თანამშრომლობაზე“ ლაპარაკობს, მაგრამ მიუხედავად ამასა, პიესა მაინც დიდ მასალას აძლევს გონებას სავარჯიშოდ. მსმენელს მისი შინაარსი ჩაათფიქრებს და ბევრ ახალ აზრს აღუძრავს თავში. განსაკუთრებით პიესა მუშებისათვისაა საინტერესო, რომელთაც შეუძლიანთ თეატრში ნათქვამ-გაგონილი ფაბრიკა-ქარხნებში არსებულ ცხოვრების რეალურ პირობებს შეუდარონ. უეჭველია ეს პიესა სახალხო თეატრის რეპერტუარში საპატიო ადგილს დაიჭერს.

პიესა საერთოდ კარგ ნაირად შესრულდა უნდა ჩაითვალოს. ეტყობოდა რეჟისორს შრომა არ დაუზოგავს, რის შედეგიც იყო შედარებით კარგი ანსამბლი. მხოლოდ ბ-ნი ანანიაშვილი, ცოტა არ იყოს, არღვევდა საზოგადო ჰარმონიას, ბ-ნი ანანიაშვილი ამ სეზონში პირველად ვნახეთ სახალხო სცენაზე. გვითხრეს,—წინად ხშირად თამაშობდა, მაგრამ ამ 4—5 წლის წინად თეატრს თავი დაანებაო. და მართლაც ეს ხუთი წლის ანტრაქტი თვალსაჩინოდ ემჩნეოდა მის თამაშს. საჭირო იყო, რეჟისორს მეტი შადაშინი გაეკრა.

მაგრამ, მართალი თუ გნებავთ, რამაც სიამოვნებით გაგვაკვირვა და აღტაცებაში მოგვიყვანა,—ეს გახლდათ ქ-6 ლეჟავას ხელოვნური თამაში. ჩვენ მუდამ მოველოდით იმისაგან ასეთ თამაშს, მაგრამ მისმა კვირის თამაშმა მოლოდინს გადააჭარბა. თავიდან-ბოლომდის შეგნებული და დაკვირვებული თამაში, შესაფერი კილო და მიხვრა-მოხვრა, ყოველივე დროს შესაფერისი აზრის, თვითეულ სიტყვის მკაფიოთ და მნიშვნელოვანი გამოთქმა, დრამატიული აღმაფრენა და და ფსიხოლოგიური მომენტების შეუდარებელი შეგნება-გამოხატვა, ბუნებრიობა და არც ერთი გადაჭარბებული კილო ან მიმოხვრა მსმენელს ავიწყებდა რომ ის სახალხო თეატრში იყო, უცქეროდა სცენის მოყვარეს, და არა „ხელოვნების თეატრში“ გამოხვეწილ მსახიობის წინაშე. ასეთი გახლდათ ქ-ნი ლეჟავა ქონრიან ტოროლას როლში. დიახ, ეს როლი ქ-6 ლეჟავას რეპერტუარში საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს. ფრიად სასურველია და საქმისათვის სასარგებლო ქ-6 ლეჟავას სახალხო სცენაზე ხშირი ნახვა.

ნიკო გოცირიძე ბუზდუნა მუშის ადეს როლში ჩვეულებისამებრ ჩინებული იყო.

ქ-6 ანკარა დღეს ზუბალაშვილების სახალხო სცენაზე პირველად გამოვიდა უფერულ როლში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი თამაში ბუნებრივი და კარგი იყო. სასურველია მისი ნახვა უფრო შესაფერ როლებში.

არა უშავდა რა ჯაბაურს იღეფელდისა და ბაქრაძეს გერმანის როლში, თუმცა ამ უკანასკნელისთვის ეს როლი მძიმე უნდა იყოს და არც გარეგნობით შეეფერება მას. № 1.

## რუსეთი

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ტფილისში 1, ეკატერინოსლავში 2, ხარკოვში 2, პეტერბურგში 1, მოსკოვში 2, ვარშავაში 2, უფაში 1, ოდესაში 2 კაცს: სიკვდილით დასაჯეს: რიგაში 1, რეველში 2, მოგილევში 1, პეტერბურგში 2, ყაზანში 1, კიევში 1 კაცი.

**სამოქალაქო სკოლების მასწავლებელთა კრება.** სრულიად რუსეთის სამოქალაქო სკოლათა მასწავლებელთა კრებას არ დასწრებია ოდესის სამოსწავლო ოლქის სამოქალაქო სკოლათა მასწავლებლების წარმომადგენლები. გაზეთების სიტყვით ამის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ოდესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს მასწავლებელთათვის ნება არ დაურთავს, სკოლებში ჯერ არ გათავებულა ეგზამენები და ვერ გაგიშვებთო. მზრუნველს მასწავლებლებისთვის გადაუცია, რომ თუ გინდათ კრებას დაესწროთ, 15 ივნისის შემდეგ წადით. სწორედ ამ დღეს უნდა დაიხურებოდა კრება!!

**ნავთსადგურების კრება.** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, ვაჭრობის მინისტრის განკარგულებით ამ მოკლე ხანში რევიზიას გაუკეთებენ სავაჭრო ნავთსადგურებს.

**პეტერბურგის უნივერსიტეტის რევიზია.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, რევიზია გაუკეთეს პეტერბურგის უნივერსიტეტს. რევიზორად დანიშნული იყო პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიის მმართველი პროტასოვი. პროტასოვს ყველაფერი წესზე და რიგზე უნახავს.

**ნადსონის თხზულება** ნადსონის თხზულებანი სალიტერატურო ფონდის კუთვნილებაა, მარტო მას შეუძლიან გამოსცეს ეს თხზულება. ამ რამდენიმე ხნის წინად სალიტერატურო ფონდის კომიტეტისთვის შეუტყობინებიათ, რომ ნადსონის თხზულება ჩუმად გამოსცეს უცნობებმაო. კომიტეტს იმ წამსვე ზომები მიუღია და თითქმის ორი კვირის კვლევა-ძიების შემდეგ მიუგნია კვალისათვის. კომიტეტს უპოვნია სტამბა, სადაც სალიტერატურო ფონდის სახელით დაუბეჭდვინებიათ ნადსონის თხზულება. უცნობებს გამოუციათ 10,000 ცალი. კომიტეტს ყველა ამ წიგნებისთვის კონფისკაცია უქნია. როგორც შემდეგ გამოძიებას აღმოუჩენია, დიდ ქალაქებში მთელი ჯგუფები ყოფილან შემდგარნი, რომლებიც პატრონების დაუკითხავად სცემენ ცნობილ წიგნებს და ასაღებენ. (რეჩი).

**საგენერალ-გუბერნატოროს გაუქმება.** როგორც „რეჩა“ გაუგია ამ მოკლე ხანში გააუქმებენ სტეპნოი საგენერალ-გუბერნატოროს.

**კულტურულ-განმათავისუფლებელ საზოგადოება „სვეტის“ ბედი.** თუ რა პირობებში იმყოფებიან მუშათა კულტურულ-განმათავისუფლებელი საზოგადოებები, ამის მაგალითს გვაძლევს საზოგადოება „სვეტი“. ეს საზოგადოება პეტერბურგში არსებობს, იგი დააარსეს მუშებმა. საზოგადოების მიზანია ემსახუროს მუშათა კულტურულ-განმათავისუფლებელ ინტერესებს, მაგრამ წარმოუდგენელია, თუ ადმინისტრაცია როგორ ეღობება წინ მის მოქმედებას. შარშან ამ საზოგადოებას განუზრახავს 33 ლექციის გამართვა, აქედან ადმინისტრაციას 31 ჯერ არ დაურთავს ნება ე. ი. წაუკითხავთ სულ ორი ლექცია! ასე გასინჯეთ, კონცერტების გამართვაც კი ისე ძნელია, რომ არარავის აქვს ხალისი გამართოს კონცერტები. გრადონაჩალნიკის ნებართვის შემდეგ ადიგლობრივ ბოქაულის ნება-რთვასაც თხოულობენ, რაიც მეტ ხარჯს იწვევს—საღერბო მარკები. წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ხომ ნულარ იტყვით. ეს რამდენიმე თვეა ნება-რთვას თხოულობენ და ვერ იქნა და ვერ ეღირსნენ ნება-რთვას. ამის შემდეგ განა გასაკვირველი არ არის, რომ საზოგადოება მუშაობას თავს არ ანებებს და მოქმედებას განაგრძობს.

## შემოწირულობა

კავკავის კომიტეტის ხელმოსაწერ ფურცლებით შეკრებილი ფული, გასაძლიერებლად აკაკი წერეთლის და ილია ჭავჭავაძის ფონდებისა.

ქ. როსტოვში შეკრებილი ბ-6 სტ. ელიაძის მიერ: ელიაძე სტეფანე სვიმონის ძე 50 მან., ქალაქიშვილი იღრამ ყარამანის ძე 3 მ., ქუთათელაძე ავქსენტი ნიკოლოზის ძე 3 მ., მეტრეველი ფილიპე მახარეს ძე 3 მ., გიორგობიანი ლავრენტი ლუარსაბის ძე 3 მ., მეტრეველი გიორგი მოსეს ძე 3 მ., მეტრეველი გიორგი მიხეილის ძე 2 მ., ჯაბარაული ნიკოლოზ 2 მ., ბაქრაძე არტემ 1 მ., კიმოთე ლაკირბაია 2 მ., ახმადოვი დავით 5 მ., დგებუაძე კოტე ა. 2 მ., ფირცხელავა რაჟდენ 5 მ., საკაშვილი სიმონ ნიკოლოზის ძე 10 მ., ჭელიძე სევერიანე 5 მ., თოფურია იაკობი 2 მ.

პიატიგორსკში შეკრებილი ბ-ნ ს. გოცირიძის მიერ: ჩითაევი სპირიდონ 10 მ., მახარაძე პლატონ 2 მ., გოგელიშვილი ივანე 4 მ., მეტრეველი კიმოთე 2 მ., N N 2 მ., შავგულიძე ნიკოლოზი 1 მ., რამაზოვი ნიკოლოზი 1 მ., ზითაროვი 50 კ., ლობჯანიძე ნესტორი 50 კ., ლომიაძე მიხა 50 კ., დიასამიძე პავლე 1 მ., კაციევი ზაქარია 1 მ., კოხტაშვილი ნიკო 50 კ., ღარიბაშვილი კოტე 50 კ. მელიევი სერგო 10 კ., ჩქარიული კობა 20 კ., ალექსანდრე 50 კ., მეტრეველი ვასილი 25 კ., გიორგობიანი ნესტორი 25 კ., პოდალოვი ვარდო 50 კ., ბაინდუროვი ბადრო 50 კ., ზოგუხბეროვი ვანო 50 კ., მარჯნოვი მარქარა 50 კ., მანუჩაროვი 50 კ., კალატოზოვი ვანო 50 კ., კილაძე ნესტორ 1 მ., თურქია კონსტანტინე 50 კ., დავიდოვი დავით ივანეს ძე 1 მ., ვარდიშვი ივანე 1 მ., ხანიკაძე ერმილე 1 მ., მლიევი ვასილ ივანიჩი 3 მ., ზადელი ერმილე 1 მ., მეტრეველი სამსონ 50 კ., დიასამიძე ნიკოლოზი 1 მ., ჯაფარიძე კოტე 1 მ., ი. გ—ძე 1 მ., არჩვაძე ალექსი 1 მ., ნადირაძე ივანე 1 მ., ჭუმბურია ირაკლი 1 მ., გოცირიძე ვალერიან 50 კ.

დერბენდში შეკრებილი მღ. მ. ჯავახიშვილის მიერ:

მღ. მიხ. ჯავახიშვილი 3 მ., წულაძე ნიკო 1 მ. 50 კ., შერმადინოვისა მართა 2 მ., მენგელია კოწია 3 მ., თავდგირიძე დიმიტრი 3 მ., მეფისოვი გიორგი 3 მ., ფორაქიშვილი ი. 1 მ., მეღვინეთხუცეშვილი 3 მ., ნაცვლიშვილი ალ. 3 მ.

ჟელეზნოვოდსკში შეკრებილი ბ-ნ გიორგი ანჯაფარიძის მიერ:

წიკლაური სვიმონი 50 კ., ჩიტაძე პართენ 50 კ., ანჯაფარიძე გ. 1 მ.

გიეორგიევსკში შეკრებილი მღ. გიორგი კალანდარიშვილის მიერ:

ბესლანელ ქართველებისგან 2 მ., მღ. გლ. ბიბილაური 1 მ., ღვინიაძე ირაკლი 1 მ., კბილაძე მინა 1 მ., მირიხანაშვილი ალექსი 1 მ., თამრო და რუსუდან კალანდარიშვილი 50 კ., ნებენიშვილი გიორგი 20 კ., ფილაშვილი 50 კ.

გროზნიში შეკრებილი ბ-ნ ივანე ანდრიას ძე ყიფშიძის მიერ:

ყიფშიძე ივანე 5 მ. 45 კ., ქიტუაშვილი ვანო 50 კ., დიასამიძე 50 კ., ჭეიშვილი ფილიპე 50 კ., ხანძევი ილიკო 50 კ., გურტიევი 55 კ., Кумсіевъ Ал. 50 კ., ღარიბაშვილი საბა 50 კ., დათიევი ივანე 50 კ., В Залиновъ 50 კ., Борисовъ, подъесаулъ 1 მ., ჩუბინიშვილი 1 მ., Огановъ, Андр.-Мих. 1 მ., მეტონიძე ერმალო 50 კ., Беридзе Николай 50 კ., გიორგი 50 კ., მეკვერიძე 50 კ.

კავკავში შეკრებილი ქ-ნ. ა. წერეთლის ხელმოსაწერ ფურცლით:

ა, წერეთელი 1 მ. ე. მოზდოკელოვისა 3 მ., ოლა ფრიდონაშვილისა 2 მ., ბოქაული ვანო ბერძენოვი 3 მ., გ. მოზდოკელი 1 მ., I. Швилевъ 5 მ., ტ. კახიძე 5 მ., გ. ბურდული 2 მ., მღ. გ. ნათაძე 2 მ., ს. მაქაცარია 1 მ.. ნ. ყაზბეგი 1 მ., თ-დი ი. ლორთქიფანიძე 20 მ.

ს. დ. ვადანდარაშვილის ხელმოსაწერ ფურცლით შეკრებილი:

ჩითაევი ნინო მიხ. 5 მ., ჩითაევისა ეკატერინა 2 მ., ფიცხელაური ნინა 1 მ., ჩითაევისა ოლღა 2 მ., მეფურნოვისა მაგდანია 1 მ., კახოვისა ნატ. 2 მ., კიკნაძე ანასტასია 1 მ., კალანდარიშვილი მოსე 10 მ., ლაგაზოვი ბარბარე 1 მ., მოზდოკელოვისა ელისაბედ 5 მ., ბურდულისა ზინა 2 მ., მოზდოკელოვისა ეკატ. 2 მ., გულბათოვისა ევა 2 მ., ჩითაევისა ნინა იოს. 3 მ., ყარანგოზოვისა მელ. 1 მ. კიკნაძე ზაქარია 5 მ.

ქ. კავკავში გამართულ საღამოდგან შემოვიდა 10 მ 46 ...

სულ ... მანეთი და ...

ეროვნული ბიბლიოთეკა


## განცხადებანი

**ტფილისის სათავადაზნაურო ქალთა სასწავლებლის გამგეობა**

აცხადებს, რომ ამ ზაფხულს საჭიროა მოიჯარადრე, რომელსაც მიეცემა 15,000 მანეთის სამუშაო სასწავლებელში. პირობების შეტყობა შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში, **ანდრეევის** ქუჩაზე, № 42. (2—6.—1)

**სიკვდილი ბაღლინჯოებს!**

ახალი საშუალება „კლოპოვინი“, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.

დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი“ ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. აფთიაქებს %. (15—ახ.—8)

**ბაღი-რესტორანი**

◀ ამხანაგობის ▶

**„იუჟანე“-სი**

სახაზლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბაღში შესვლა უფასოდ.**

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ სასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები“ და „პრეისკურანტები“. ფასები ზომიერია.
телефонъ N 233. (50—გაჟ.—13)

**კანტორა და საწყობი „სპერმატინისა“ და „ალმეზისა“**

გადავიტანე ვორონცოვის ძეგლთან, ნეკრასოვის ქუჩაზე, № 14.
(30—6.—1) ი. ახობაძე.

**საკონკურსო ეგზამენებისთვის**

ახალი სრული კატალოგი (№ 26), გამოცემული ინჟ.

◀ პ. კ. შმულევიჩის მიერ ▶

გამოვიდა 15 ივნისს და ეგზავნება ყველა მსურველს **უფასოდ.**
მსურველმა უნდა მიმართოს გამომცემლის კანტორას:
С.-Петербургъ, Ивановская ул., д. 6. (ტელეფონი 236—85).
(Метцль и Ко. N 94576). (3—6.—3)




**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში; სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ-ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ადრესი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—47)


სტამბა „ხინათლე“, დიდი ჯანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.